წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ხუთშაბათი, 3 მარტი 1916 წ. | № 49

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე [illegible] გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.
გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

საგალანტერიო მაღაზია
**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
**ღვინის საწყობი**
ადამ ზურაბის ძის
**ბერელაშვილისა**
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

სასტუმრო **„ავრორა"**
ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.
უაღრესი სიფაქიზე. **ელექტრონის განათება**
ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად
ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.
თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.
**სასტუმროსთან მოწყობილია სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.**
თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.
(წ.—)

„წნორის წყლის" სადგურთან, სულ რამდენსამე ნაბიჯზე, თვით სადგურიდან, გაიხსნა
**სასტუმრო ჯუგაანი**
სასტუმრო მოწყობილია სუფთად და ევროპიულად ნომრებით და ბუფეტით
15—16 პატივისცემით ნიკო (კოლა) ზურაბის-ძე ზედელაშვილი

**ვასწავლი**
ქართულ „სიმღერა-გალობას" დ ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა
**მიხეილ კავსაძესთან**
(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. დ პარასკეობ. საღ. 6-9-დე).
ვასწავლი მუშა ხალხსაც.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმ-დოსტაქარი
**გ. მ. მუხაძე**
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ქ. ბაქოში
**ღვინით ვაჭრობა**
**„მელანი"**
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

**შეშის საწყობი**
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. [illegible] შუა
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

პირველი წელი — პირველი წელი
„საქართველო"-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამ თვეში ერთხელ გამოვა
**პაზმული და სამხატვრო კრებული**
**„მერანი"**
კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.
ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.
გაზეთ „საქართველო"-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი" უფასოდ დაურიგდებათ.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები
### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი,** 1 მარტი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** რიგის ფრონტზე ბაბიტის ტბის სამხრეთით მკვირცხლი საარტილერიო სროლაა. ამ ფრონტის ერთს ნაწილზე ლატიშთა რაზმმა გადალახა მავთულიანი ხლართები, შეიჭრა მტრის თხრილებში, ხიშტებით ამოხოცა იქ მყოფნი და უზიდობიანად დაბრუნდა უკან. გალიციაში, სოფ. პოდკამენის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სტრიპის შუა ნაწილში რუსთა მზვერავები მარჯვედ ასრულებენ მოვალეობას. კიდევ რამდენიმე ტყვე მოიყვანეს რუსმა მოდარაჯეებმა.

**კავკასიის ასპარეზი.** რუსთა ჯარები წინსვლას განაგრძობენ.

---

**პარიზი,** 29 თებერვალი. საღამოს ოფიციალი ცნობა. მდ. ენის ჩრდილოეთით ჩვენმა არტილერიამ ბევრს ადგილას გაანადგურა მტრის საველე სიმაგრეები ვოვლერის მაღლობებზე. შამპანში ჩვენმა მძიმე არტილერიამ მარჯვედ დაუშინა გერმანელთა სიმაგრეებს მეზონდე-შამპანთან, ნავარენის დასავლეთ რაიონში, არგონებში გამანადგურებელი საარტილერიო ცეცხლით მოვსპეთ რკინის გზა და არგონების აღმოსავლეთით მტრის სიმაგრეთა ნაწილი. ვერდენის ჩრდილოეთით საარტილერიო სროლა გაძლიერდა მორტომის მიმართულებით. ბიურიუს ტყის რაიონში ჩვენმა ბატარეების ცეცხლმა დაჰფარა გერმანელთა მოძრავი ჯარები ფორჟისა და კორბოს ტყის შუა. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე და ვევრში საშუალო ძალის საარტილერიო სროლაა. ზემო ელზასში გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ იერიში მოიტანეს სეპუას თხრილების აღმოსავლეთით, სადაც ორი დღის წინად სულ ახლად დავიჭირეთ ჩვენი დაკარგული თხრილები ანტრალარგის რაიონში. იერიშები შეჩერებულ იქმნა ჩვენი არტილერიის ცეცხლით. გერმანელები დაუბრუნდნენ თავიანთ თხრილებს. საგრძნობელი ზარალი მოუვიდათ. 29 თებერვალს მთელი დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლმა კორპუსმა დიდი მამაცობა გამოიჩინა ვერდენის რაიონში. ჩვენმა ჰაერის ფლოტმა, 6 აპარატით, 130 ყუმბარა ჩამოაგდო რკინის გზის სადგურზე ბრიუელში. ვერდენის ჩრდილოეთით მრავალი ბრძოლა მოხდა, სადაც გამარჯვება ხან ერთის მხარეზე იყო, ხან მეორეზე. ამ ბრძოლაში დავღუპეთ 3 გერმანული ჰაეროპლანი, ორიც გერმანელთა შორის ჩამოვარდა.

**პარიზი,** 28 თებერვალი. ჰავასის სააგენტო იუწყება: ვერდენთან შაბათს დამყარებული შედარებითი სიჩუმე დღესაც გრძელდებოდა. მაასის მარცხენა მხარეს მომხდარს საარტილერიო ბრძოლას სერიოზი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც თუ მან ხელი აიღო იმ იერიშზე, რომელიც მას მიჰქონდა პუავრ-ფორტის მაღლობის, დუომონ ფორტის და ვოს ფრონტზედ, რომელიც ძლიერ გამაგრებულია, ცხადია ეხლა ბეტანკურ-მორტომ-ტუმერის ხაზით შეუტევს. საერთოდ ამ ჟამად მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც იყო 18 თებერვალს, მეორე ბრძოლის დაწყების დროს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ მოიერიშეთა ძალები საგრძნობლად შემცირებულია. ყოველი ბრძოლის შეწყვეტა ნებას გვაძლევს ჩვენ გავაძლიეროთ თავდაცვა, ყოველს შეჩერებას დამცველებისთვის სარგებლობა მოაქვს.

**კოპენჰაგენი,** 29 თებერვალი. პორტუგალიის რწმუნებულმა ვენაში განუცხადა „ნეიე-ფრ. პრესის" წარმომადგენელს ავსტრიისა და პორტუგალიის შუა არავითარი კონფლიქტი არ მომხდარაო.

**ლონდონი,** 29 თებერვალი. აფრიკაში ტავეტის მარცხნივ იტოვის გორაკებზე გამაგრებულ გერმანელების წინაამდეგ ბრძოლის დროს პოზიციები ხელიდან ხელში გადადიოდა. შუაღამისას ხიშტებით შევებით მტერს და ჩვენმა ორმა რაზმმა ისე მკვიდრად დაიჭირა პოზიცია, რომ შევძელით მისი შერჩენა დილამდე, როდესაც ჩვენ მოგვივიდა მაშველი ჯარი და ადგილობრივ მცხოვრებთა ლაშქარი. გერმანელებმა სამხრეთ-დასავლეთის მხრით დაიხიეს. ამავე დროს ჩვენმა ცხენოსნებმა კილი-მანჯარას ჩრდილო-აღმოსავლეთით გორაკების ძირში მტრის ძალები განდევნეს. ამ ჟამად ჩვენი ჯარები სცდილობენ მტრის უკუქცეულს ჯარს გზა მოუჭრან დასავლეთით. მტერი იხევს სამხრეთით უზამბარის რკინის გზის მიმართულებით. მტრის დევნა გრძელდება.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გერმანელთა ახალი ზეჯავშნოსანი

ჟურნალ „Riviska Maritima" იუწყება, გერმანელები ახლა აგებენ ახალს ზეჯავშნოსანს, რომელიც ძალით აღემატება ყველა იმ ზედრედნოუტებს, რაც კი 1915 წლამდინ აუგიათო. საქმე ის არის, რომ ამ ზეჯავშნოსანს აგებენ ახალი პრინციპით, რომლის ძალითაც იგი არას გზით არ ჩაიძირება, თუნდაც ნაღმი ააფეთქონ ან და მძიმე ზარბაზნები მოახვედრონო. ამ გემს ექნება სამი ძირი, პირველი ძირი იქნება 200 მილიმეტრიანი სისქისა, მეორე ასი მილიმეტრიანი, ხოლო მესამე 12 მილიმეტრიანი, ამის გარდა ამ ძირთა შუა მოათავსებენ ერთგვარს ნივთიერებას, რომლის შემადგენლობას დიდ საიდუმლოდ ინახავენ. ეს ნივთიერება გემში არ შეუშვებს წყალს, თუნდაც უდიდესი ნაღმი აუფეთქონ ქვეშ. თუ ეს გამართლდა, ამბობს ჟურნალი, გემთა აგებაში სრული კატასტროფა მოხდება და ახალი ხანა დაიწყებაო. საქმე ის არის, რამდენად მალე მოახერხებენ გერმანელები ამ საოცარ გემის დამთავრებას.

### აზრუმი კინემატოგრაფში.

აზრუმის იერიშები კინემატოგრაფით გადაუღიათ სკობელევის კომიტეტის წარმომადგენლებს. იქვე, თბილისის სამხედრო მუზეუმისთვის პოლკოვნიკ ესაძეს გადაუღია კინემატოგრაფით აზრუმის მიდამოები ბრძოლის დროს..

### ვერდენთან.

„დენი" მოკლედ და მკაფიოდ ახასიათებს ვერდენის მდგომარეობას: „ფრანგთა მიერ მოწოდებული ცნობების თანახმად მათ ჯარებს ვერდენთან დაუთმიათ ფრონტიდან რამოდენიმე მანძილი. ფრანგებს დაუხევიათ მაასის დასავლეთ ნაპირებზე, სადაც ბოლო დროს გერმანელებს სასტიკი იერიში მოჰქონდათ და აიღეს კიდეც სოფ. ფორჟი. ამ გამარჯვების გამო და კიდევ იმიტომ, რომ გერმანელები ფლობდნენ სოფელ დუომონს მაასის აღმოსავლეთ ნაპირებზე, ფრანგთა ჯარები მეტად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდნენ და ორივე მხრით ზარბაზნის ცეცხლში ეხვეოდნენ. ფრანგებმა ფორტების ხაზზე დაიხიეს. გერმანელთა სწრაფი იერიშები ჰმოწმობდა, რომ ისინი სცდილობდნენ ციხის აღებას არა მარტო შუბლით, არამედ ზურგიდანაც. ამ სერიოზულ ოპერაციისთვის გერმანელებმა რეზერვები მოიხმარეს. ამნაირად, ვერდენთან ახლო მომავალში უნდა მოველოდეთ უდიდეს ბრძოლას, რომლის წინაშეც ყველა წინაწარი ბრძოლა ფერმკრთალი გამოვა. ეს ბრძოლა დაიწყება მაშინ, როცა გერმანელები შეუდგებიან იმ მწვერვალების აღებას, სადაც დღეს შეაფარა თავი ფრანგის ჯარმა. გარდამწყვეტ ბრძოლას, ყოველ შემთხვევაში, ამ ორიოდ კვირაში უნდა მოველოდეთ, რამაც ან უნდა გადასწყვიტოს ციხის ბედი, ანდა გერმანელთა ჯარები საბოლოოდ გაანადგუროს".

### ვერდენთან

უკანასკნელი ცნობებით გერმანელები უმთავრეს ძალას თავს უყრიან ვერდენის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით და სცდილობენ ფრანგების ჯარი ვერდენის ზღუდეებისაკენ შეაჯგუფონ.

„ფოსიშე ცაიტუნგ"-ი სწერს: ვერდენთან ბრძოლის მიყუჩება საჭირო იყო აღებულ ადგილების გასამაგრებლადაო. ეჭვი არ არის ფრანგები აქ სამაგიეროდ იერიშებს მიიტანენ გერმანელებზე და აქ ბრძოლას დიდი სერიოზული მნიშვნელობა ექნებაო.

### ბრძოლა ზღვაზე

კვირა დილით გველის კუნძულის მცხოვრებთ (კილის მახლობლად) საშინელი სროლის ხმა გაუგიათ: ზარბაზნების გრიალი დედამიწას არყევდა, კუნძულზე ყველა სახლებში ფანჯრები ჩალეწილა. ამბობენ ზღვაზე ძლიერი ბრძოლა მოხდაო.

### ვერდენის ალყა

„ბ. ვ"-ის აზრით გერმანელები ვერდენს ალყის შემორტყმას უპირებენ.

### ჩერჩილის აზრი

ინგლისის საზღვაო მინისტრად ნამყოფმა უინსტონ ჩერჩილმა საზოგადოებათა პალატაში განაცხადა: აუცილებლად საჭიროა დიდის სისწრაფით ავაგოთ განზრახული გემები. საჭიროა საზღვაო სამინისტროს დღევანდელ უენერგიო მმართველის ნაცვლად საზღვაო მინისტრად ნამყოფი ფიშერი მოვიწვიოთ. ამ სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

### პორტუგალია

როგორც ვიცით პორტუგალია მალე ომის ფერხულში ჩაებმება. პორტუგალიაში 6 მილიონი მცხოვრებია. სავალდებულო სამხედრო ბეგარა 1911 წ. 2 მარტიდან შემოიღეს. ყოველ წლივ ჯარში გაჰყავთ 45 ათასი ახალგაზდა. ამათგან ერთს მესამედს ანთავისუფლებენ და სამაგიეროდ სამხედრო მახტას ახდევინებენ. პორტუგალიის ჯარი მილიციის წესზეა დაყენებული. სამხედრო ვარჯიშობისათვის დრო და დრო იბარებენ. ქვეითა ჯარს წელიწადში $3^1/_2$ თვეში სწრთვნიან, არტილერიას $4^1/_2$ თვეს, ცხენოსან ჯარს 7 თვეს, ხოლო საინჟენერო ჯარს 6 თვეს. 20—30 წლამდე ახალგაზდა მომქმედ ჯარში ითვლება, მერე 10 წელიწადს (40 წლამდე) სათადარიგოდ. ჯარში ნამსახურნი 45 წლამდე ირიცხებიან ტერიტორიალურ ჯარში. პორტუგალიას შეუძლიან საბრძოლველად გამოიყვანოს 600 ათასი მეომარი, თუმცა ამ ჯარის ოთხი მეხუთედი ნაკლებად არის გაწვრთნილი. პორტუგალიის ჯარი მაუზერის მაგაზინკებით, მაქსიმისა და ნორდენფელდის ტყვიისმფრქვეველებით არის შეიარაღებული. არტილერია კრუპის 3 დიუმიან მსწრაფლმსროლელ ზარბაზნებით არის შეიარაღებული, მძიმე არტილერიას 4—6 დიუმიანი ზარბაზნებიც აქვს კრუპისა, სულ აქვთ 250 მსუბუქი ზარბაზანი 50 სამთო და 50 მძიმე ზარბაზანი. პორტუგალიას აქვს თოფის წამლის ქარხანა, სასროლ მასალის ქარხნები და სხვა. მუდმივ ჯარში ჰყავთ 1700 აფიცერი, 10 ათასი უნტერ-აფიცერი, სათადარიგოდ 100 აფიცერი და 400 უნტერ-აფიცერი.

საერთოდ სამხედრო საქმე ვერ არის რიგიანად მოწესრიგებული.

პორტუგალიის ფლოტს უკანასკნელი ადგილი უჭირავს, თუმცა პორტუგალიას დიდი და მდიდარი ახალშენები აქვს: აფრიკაში—კუნძულები მწვანე კონცხისა, პრინცისა და წმ. თომასი, აქვს ოლქები პორტუგალიის გვინეა, ანგოლა, ბენუელა. აზიაში აქვთ—გოა, დამაო და დიუ. ინდოეთში—თიმორის კუნძულები, ჩინეთში მაკაო. აფრიკაში პორტუგალიას ჰყავს სულ 6 მილიონი ქვეშევრდომი, აზიაში 1 მილიონამდე.

ასე რომ პორტუგალიის ქვეშევრდომთა რაოდენობა სულ 13 მილიონს უდრის.

პორტუგალიის სამხედრო ფლოტში ირიცხება ძველი ჯავშნოსანი „ვასკოდე-გამა", რომელიც 8 დიუმიან 4 ზარბაზნით არის შეიარაღებული აქვთ მთლად მოძველებული კრეისერები: „რესპუბლიკა", „გაბრიელ" სულ 4. ეს კრეისერები 6 დიუმიან ზარბაზნებით არის შეიარაღებული, თითოზე 2—4 ზარბაზანია. აქვთ აგრეთვე 2 დიდი ნაღმოსანი. 4 პატარა, 1 წყალქვეშა. განზრახული ჰქონდათ აეგოთ 3 დრედნოუტი, 3 კრეისერი, 12 მებრძოლი ნაღმოსანი და 6 წყალ-

ქვეშა, მაგრამ უსახსრობისა გამო ვერ მოახერხეს. მხოლოდ 3 ნაღმოსანსა და 2 წყალქვეშის აგებას შეუდგნენ.

ომისათვის მნიშვნელოვანი ადგილებია ნავთსადგურები ლისაბონი და აფრიკაში მდებარე ნავთსადგური წმ. პაოლო-დე-ლოანტო. გამაგრებულია აგრეთვე ოპორტას, სეტუბალის ნავთსადგურები და აზორის კუნძულებზე მდებარე პუნტა-დელგადო.

ახალშენებში კი პატარა ნავთსადგურები: ხორთა, ფუნჩალი და პორტო-გრანდე. ამ ნავთსადგურებს მცირეოდენი მნიშვნელობა აქვს მოკავშირეთა ფლოტისათვის.

## უკანასკნელი ფოსტა

**ოსმალეთის ასპარეზი.**

შუმსკი სწერს: რუსის ჯარი მესოპოტამიის საზღვრებიდან 60 ვერსის მანძილზეა ხანეინთან. ბაღდადამდის ამ ჯარს 200 ვერსი-ღა აქვს გასავლელი. ჯერ ასე შორს რუსის ჯარი ოსმალეთთან ომების დროს არასოდეს არ წასულა. მესოპოტამიაში ოსმალებს დღევანდლამდე მხოლოდ 2 კორპუსი ჰყავდათ, მე-12 კორპუსი მოსულში ჰყავდათ. მე-13 ბაღდადში. მოსული აზრუმიდან 350 ვერსზეა, ბაღდადი—700 ვერსზე. ეხლა ამ ჯარების ნახევარი აზრუმისაკენ გამოისტუმრეს.

**ტრაპიზონი.**

რიზეს აღების შემდეგ რუსები ტრაპიზონისაკენ ილაშქრებენ. შუმსკის აზრით ოსმალებს ტრაპიზონი კარგად გაუმაგრებიათ, მის წინ ორი წყება სიმაგრეები აუგიათ, თუმცა მაშველი ჯარი კი ასე მალე ვერ მოაღწევს ტრაპიზონამდე, რადგანაც სივასიდან ტრაპიზონში პირდაპირი გზა არ არის და შორს მოსავლელი გზა ერზენჯიანზე მოდის.

იქ მყოფ ჯარს ვერც გამოჰგზავნიან ოსმალები, რადგანაც თვითონ ერზენჯიანის დასაცავადაც დასჭირდებათ. მეორეც ოსმალეთის მაშველი ჯარი დიდი ხანი არ არის სივარსიდან დაიძრა. სივარსიდან ერზენჯიანამდე კი 350 ვერსია. ამისთვის საფიქრელია, რომ ოსმალებმა ტრაპიზონს თავის დროზე მოაშველონ ჯარი. ტრაპიზონისა და მესოპოტამიის ასპარეზზე ამ ბრძოლის საქმე გაზაფხულზედვე დასრულდება.

—

„რუსკი ინვალიდი" სწერს: გერმანელები შიშობდნენ რუსეთს რიგის სრუტის ნაპირებზე დესანტი არ გადაესხა. ამის გამო ნაპირებზე თხრილები და სიმაგრეები გააკეთეს. ამ ბოლო დროს გერმანელები დიდს ყურადღებას აქცევენ რუსეთის ჯარის გამოსვლას დვინის მიდამოებში. იაკობშტატთან და დვინის მარჯვენა პოზიციის პირას გერმანელები დიდს მოძრაობას იჩენენ. როგორც ეტყობა გერმანელები რუსეთის შუაგულ ფრონტიდან ჯარს აქეთ-იქით სხავენ.

—

ამერიკულ სინდიკატს 50 მილიარდი დოლარი გადაუდვია ევროპაში დანგრეულ ქალაქების აღსადგენად.

## ბრძოლის ველზე

ვერდენის ოპერაციის შესახებ რუსი სამხედრო მიმომხილველნი მეტის-მეტ ოპტიმისტობას იჩენენ. ბ-ნი კ. შუმსკი, მაგალითად, „ბირჟ. ვედ." მორიგ ნომერში 26 თებერვლის თარიღით მთელს 19 დღის განმავლობაში მომხდარ ამბებს სრულიად მნიშვნელობას არ აძლევს, სტრატეგიული თვალსაზრისით გერმანელთა გამარჯვებას არსებითად არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, მაშინ როდესაც თვითონ ფრანგები ამ გადამეტებულ ოპტიმიზმს დიდი ხანია გამოეთხოვენ და, როგორც გუშინდელ დეპეშიდან დავინახეთ, ყრუდ დრტვინავენ კიდეც, კლემანსოს პირით მოითხოვენ მარცხის მიზეზების განმარტებას. სახელდობრ რა „მარცხისა" ან რა „შეცდომების" შესახებ იყო ლაპარაკი, ამაზე სდუმდა დეპეშა. მაგრამ მარტო ცნობაც საკმარისი იყო საზოგადო ვითარების შესახებ ეჭვის გამოსატანად, რომ მაინც და მაინც ოპტიმიზმისთვის, ისიც ასეთ გადაჭარბებულ ოპტიმიზმისთვის მტკიცე ნიადაგი არ მოგვეპოვება. აქ ისევ ფრანგთა თავისუფალი აზრი უნდა გავიზიაროთ: ქვეყნისთვის ყოველთვის უმჯობესია სიმართლის ადრევე ცოდნა, ვიდრე საქმის წახდენის შემდეგ. ეს სიმართლე კი, მარტო თუნდაც ფრანგთა ოფიციალ მშრალ ცნობებს დავემყაროთ ჰავასის სააგენტოს ცნობათა უფერუმარილოდ, დავინახავთ, რომ საქმე არც ისეა, როგორც შუმსკი სწერს, გერმანელთა იერიშებსა მათთვის თვალსაჩინო ნაყოფი მოუტანია. მარტო ის ფაქტი, რომ გერმანელებმა ხელთ იგდეს მაასის მწვერვალებიანი ხაზი, შემდეგ მანგელანის დამკვიდრება, ვერდენის ჩრდილოეთით ეტენამდე ხაზის გასწორება დიდს უპირატესობას აძლევს გერმანელთ ოპერაციის შემდეგ განვითარებისთვის. გერმანელთა მთავარი შტაბი, როგორც მათი შემდეგი მოქმედებიდანა სჩანდა, სცდილობდა მალე თვით მაასის მწვერვალთა აღებას. აქაც თვალსაჩინო ნაბიჯი გადასდგეს. ოპერაცია, როგორც ვიცით, ჯერჯერობით მიყუჩებულია, მაგრამ მიზანს მათი ლტოლვისა აშკარად ისევ მაასის მწვერვალები შეადგენს. თუ ის მოახერხეს, მაში ფრანგები იძულებული გახდებიან დასტოვონ ეპარჟი, თვით სამხრეთის სექტორიც კი, გოლიომონის გზიდან მოყოლებული ვერდენამდე—ის კი თვით ვერდენის ალყის შემორტყმის თანასწორი იქნებოდა.

როგორც ვიცით, ვერდენის ოპერაცია მარჯვენა ფრთითაც გააძლიერეს გერმანელებმა. უმთავრესად იერიშები მიჰქონდათ მაასის მარცხენა ნაპირზე გაყოლებულ ფრანგთა ჯარების გასანადგურებლად, შარნიდან ფორჟამდე. ფორჟი დიდიხანია მათს ხელშია. ახლა, როგორც დღევანდელ ბიულეტენებიდანა სჩანს, მაასის მარცხენა ნაპირზე კვლავ გაუძლიერებიათ საარტილერიო სროლა. ბრძოლის ასპარეზად ჰავასის სააგენტო აღნიშნავს ბეტანკურ-მორტომტიუმიერს. ზემო ალზასში ფართო დემონსტრაციები ნამდვილ ბრძოლის ხასიათს იღებს. გერმანელებმა დაიბრუნეს სამიოდ დღის წინად დაკარგული თხრილები.

საზოგადოდ ახლოვდება გარდამწყვეტი ჟამი. ამ ორიოდ კვირაში, როგორც აღნიშნავს „დენის" უსახელო მიმომხილველი, უნდა მოველოდეთ უდიდეს ამბებს. ვერდენის ოპერაცია მხოლოდ და მხოლოდ ინტროდუქციაა იმ საშინელი ომისა, რომელიც მალე იჩქებს ვერდენის სრულს იზოლაციის შემდეგ, შესაძლებელია რეიმსის მხარეს, როდესაც შამპანში მდგარი ჯარები წინ სრბოლას დაიწყებენ, ხოლო გერმანელები ზურგიდან შეეცდებიან გზა მოუჭრან მთავარ ჯარების მოძრაობას. მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, თუობითია!.. „თუ" ეს ასე მოხდა... „თუ" მოახერხეს გერმანელებმა ვერდენის აღება... „თუ" არა და გერმანელთა თავხედობასაც ერთხელ და უკანასკნელად დაედება მათთვის ჯერ უნახველი საზღვარი.

მეორე ხარისხოვან ასპარეზებიდან აღსანიშნავია იტალიის ფრონტი. აქ ბრძოლა თითქოს გამოცოცხლდა, მაგრამ მხოლოდ „თითქოს". ვინაიდან ჩვენამდე მოღწეული ხმა იგი იმდენად სუსტია, რომ ვერ გაგვიგია, ეკუთვნის იგი ავდრიან დროს ჰექა-ქუხილს, ზარბაზნებს თუ იზონტოს აღელვებულ მშფოთვარე ტალღებს.

X.

## თბილისი, 3 მარტი.

**სათათბირო და დეპუტატები.** რუსის ხასიათი და ნების-ყოფა ვერ არის გადამწრთობილი სისტემატიური და გამყოლი გონებრივი მუშაობისათვის. ეს ნაკლი განსაცვიფრებელი სიცხადით აშკარავდება სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოებში, რომელიც განსაკუთრებით მოითხოვს ტვინისა და გონების ჯანგაუტეხელ სიფხიზლეს და მზრუნველობას სახელმწიფოს დიდ საჭიროებებისათვის. რუსის ბუნებას მალე სწყინდება ამგვარი საქმიანობა, იქანცება, ეძლევა აპატიას და სრულს უმოქმედობაში გადადის. მაღალი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის საწარმოებლად მას არ მოსდევს ტრადიცია, არ ყოფნის გონებრივი და ნერვიული სიმტკიცე. ამის საუკეთესო ილიუსტრაციას იძლევა სახელმწიფო სათათბიროს სესიები. ყველას გვეხსომება, თუ რა დაჟინებით მოითხოვდა მთელი რუსეთი სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას გასულ წლის ზაფხულში. ყველას გვეხსომება, თუ რა ენტუზიაზმით შეეგებნენ სათათბიროს 1915 წლის ივლისის სხდომებს, თუ რამდენი მწარე გულმხურვალე სიტყვები წარმოითქვა. პირველ დღეების ფუსფუსს მოჰყვა უეცრივი განელება. დეპუტატები თითქოს ერთბაშად წყლში მოსწყდნენო. დაიწყო თავრიდის სასახლიდან ხალხის წარმომადგენლების ერთი-მეორეზედ გახიზვნა. ვინ დასასვენებლად კურორტებზედ მიისწრაფოდა, ვინ კიდევ საკუთარ მამულში თვის ცოლშვილთან. საკანონმდებლო ორგანო ცარიელდებოდა. რუსეთის პრესამ თავის დროზედ მკაცრად გაილაშქრა დეპუტატთა საზოგადოებრივ სინიდისის ამგვარი დაცემისა და დაკნინების წინააღმდეგ. მაგრამ პრესის ხმამ ვერ შეაჩერა ამ ახალ ჯურის „ბეჟენცების" გარედ გაწევა. სახელმ. სათათბიროს მიმდინარე სესიაშიც ამ ჭირმა უკვე იჩინა თავი. უკიდურეს მემარჯვენეთა მჭექარე ორატორმა, ნ. ე. მარკოვმა სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან, უსაყვედურა მთელს სათათბიროს: სათათბირომ ყველიერის წინ თავი ძლივს შეიყარა და ეხლა უკვე თავის ნებით წავიდ-წამოვიდა, თავის თავს ითხოვსო. ორატორის წინაშე ოთხას ორმოც დეპუტატის მაგიერ ძლივს სამოცდა ათი კაცი თუ დაითვლებოდა. როგორც პროფესორი ბოგდანოვი მოწმობს, სათათბიროს მუშაობის დაწყების პირველ დღიდანვე დეპუტატები სხდომებს ან სულ გაურბიან, ან თუ ესწრობიან მხოლოდ რამოდენიმე წუთით. ბევრს მობეზრებიათ სიტყვების მოსმენა, სხდომის დარბაზი დაუტოვებიათ და მის გარშემო დასეირნობენ. სათათბიროს კანცელიარიაში დეპუტატთა აუარებელი განცხადება შემოდის, ვინ უვადოთ წასვლას თხოულობს, ვინ კიდევ აღდგომამდე.

მაშინ როდესაც სახელმწიფო მთელ თავის ძალღონეს იკრეფს, რომ როგორმე გადაურჩეს ომისაგან შექმნილ განსაცდელს, მაშინ როდესაც ხალხი უკიდურეს გასაჭირს განიცდის და ჯარის-კაცები ასი ათასობით თხრილებში სხედან, ხალხის წარმომადგენლები გაურბიან თავის მოვალეობას... მათ არ შესწევთ ხასიათის სიმტკიცე სათათბიროს რბილ სავარძლებზე ისხდნენ და სახელმწიფოს საქმეებზე ბჭობდნენ და თათბირობდნენ. სამართლიანად აღშფოთებული „ნოვოე ვრემია" ეხება ამ მოვლენას და მწარედ დაასკვნის: „ეს ნაყოფია რუსის საერთო უწიგნურობისა. ის კულტურას ვერ შესწვდა. „საბრალო რუსის ხალხი, არ იქმნა, სახელმწიფოებრიობის კულტურული წყობილება მას ვერ შეეგუაო"!

—

**ყურადღება ჩვენ მეურნეობას** ჩვენი სოფლის მეურნეობის განსაკუთრებული უნუგეშო მდგომარეობის შესახებ ლაპარაკი ბევრჯელ გვქონდა. მრავალმა მიზეზმა ერთად თავი მოუყარა, თუ ტეხნიკურმა ჩამორჩენილობამ, თუ საერთო მოუსავლობამ სხვა და სხვა ატმოსფერულ მიზეზის გამო, თუ მამაკაცების ჯარში გაყვანამ და უმუშახელოდ სოფლის დარჩენამ და სხვა. როგორც ხედავთ აქ არის წმინდა კულტურული, ეკონომიური და სახელმწიფოებრივი მიზეზი. ყველა ამან სოფლის ფიზიკური არსებობა ხიფათში ჩააგდო: ჩვენს ქვეყანას გასულ წლებში, ჩამოთვლილი მიზეზების გამო, ქრონიკული სიმშილი ედგა. მომავალი წელიწადი ამ მხრივ კიდევ მეტ უბედურებას გვიქადის. ამ მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიქცეოდა და სახელმწიფოსა და კერძო ინციატივას ფართო ხასიათის დახმარება გაეწია დაქცეული მეურნეობისთვის. საჭირო იყო შემოდგომითვე თადარიგის დაჭერა და ადგილობრივად სათანადო სამეურნეო კომიტეტის შექმნა მომრიგებელ შუამავლებისა და სოფლის გაჭირვებაში ჩახედულ კერძო პირთაგან. მთავრობას სასწრაფოდ უნდა ეზრუნა ამისთვის და თანაც მეტი ყურადღება მიექცია იმ კუთხეებისათვის, რომლებიც უფრო დაშავებული და დაზარალებულ იყო. რუსის სახელმწიფოს თითქმის ერთად ერთი წყარო და იმედი სოფლის მეურნეობაა და მის დეზორგანიზაციას შეუძლია დიდი აწეწილ-დაწეწილობა შეიტანოს მთელი სახელმწიფოს ფინანსიურ და ეკონომიურ მდგომარეობაში. ამიტომაც ეს საკითხი მთავრობის ზრუნვის მთავარ საკითხად უნდა ყოფილიყო და მის შესახებ დაჩქარებით უნდა წარმოედგინა დამუშავებული პროექტი. მარტო ამ საკითხის შესახებ სახელმწიფო სათათბირო უნდა შემოდგომაზე ყოფილიყო მოწვეული, როგორც ამას თხოულობდა მთელი პროგრესიული რუსეთი. მაგრამ როგორც ვიცით, ვერც ამ მოტივმა გასჭრა და ვერც სხვა მრავალმა და სათათბირო თავის დროზე მოწვეული არ იქმნა. დაგვიანების ცუდი შედეგები შეიძლებოდა რამოდენიმეთ განელებულიყო რომ მიწად მოქმედების სამინისტრო ენერგიულის ღონის ძიების პროგრამით გამოსულიყო მეურნეობის დასახმარებლად. მაგრამ ამ მხრივ მინისტრის აწ ცნობილი ღონისძიება და პროგრამა მოქმედებისა სანუგეშოს არაფერს იძლევა. და რაც უფრო ყურადსაღებია ჩვენთვის, მისი ღონისძიების ფარგალი ჩვენს ქვეყნამდის ვერ მოსწვდება. როგორც ბევრ რამეში, აქაც საერთო ზრუნვის გარეშე დავრჩებით, მით უმეტეს რომ საქართველოს პურის მოსავლით სახელმწიფო ვერც წარსულში დაუხარბებია და ვერც ეხლა დაახარბებს. ამ მხრივ ჩვენი მეურნეობა ჩვენივე, შინაური საქმეა და ისიც ბევრი იქნება რომ ადგილობრივ მთავრობას, რომელიც თავისივე პირდაპირი დანიშნულების ლოღიკით, ადგილობრივ მოთხოვნილებას და გაჭირვებას უფრო უნდა შეელოდეს, ვიდრე პეტროგრადის ცენტრალი მთავრობა,— თავის ყურადღება მივაქცევინოთ ჩვენი საქვეყნო გაჭირვებისთვის. ამიტომ საჭიროა მცოდნე და გაგებულმა პირებმა დაამუშაონ თუ რა სახის დახმარება შეიძლება გამოვსთხოვოთ ადგილობრივ მთავრობას ამ ჩვენი შერყეული მეურნეობის გამოსაბრუნებლად. ამავე დროს ქართველმა საზოგადოებამ საკუთარი თაოსნობა უნდა გამოიჩინოს და სოფელს გამოუძებნოს დახმარების საშუალებანი.

## რუსული პრესა

„პეტროგრადის ვედომოსტები" თბილისელ სომეხ-კადეტების თაღლითობის შესახებ სწერს, რომ კადეტები სადაც უნდა შევიდნენ, ყოველგან თავის თვალთმაქც და ორპირ პოლიტიკურ მწარე კვალს სტოვებენო. გაზეთის აზრით ერთს ასეთს კადეტურ ოინს ზედმეტი გამწვავება შეაქვს თბილისელ სომეხ-ქართველთა ისედაც არა მეგობრულ განწყობილებაშიო. თბილისი საქართველოს სატახტო ქალაქია, მაგრამ იქ სომხებია გაბატონებული. ქალაქის თვითმართველობა ხომ სავსებით მათს ხელშია. 30 ათას მუსულმანს ერთი ხმოსანიც არა ჰყავთ. 10,500 რუსზე მოდის ერთი ხმოსანი რუსი, 14,000 ქართველზე კიდევ ერთი ქართველი ხმოსანი; ყოველ 2.500 სომეხს კი თვითმართველობაში თავისი ხმოსანი ჰყავს. ამის შემდეგ ავტორს მოჰყავს აივაზოვის ანდერძის ისტორია და დასძენს: თბილისის ქალაქის გამგეობას ანდერძი აკისრებდა სომხების კონსისტორიის როლს და ქალაქი შესაძლო იყო ამ ანდერძის გამო სომეხთა კათალიკოზსაც შეჯახებოდა, ვინაიდან უმაღლესი ხელმძღვანელობა აივაზოვის სტიპენდიებისა კათალიკოსს ევალებოდა. თავის თავად კარგი საქმე, აივაზოვის ანდერძი, ცუდ მრჩეველთა გამო, ეროვნებათა შორის შუღლის და მტრობის დათესის საგნად გარდიქცა. აი როგორი შედეგი მოჰყვება, როდესაც გულწრფელობას და პატიოსნებას თვალთმაქცობაზედ დაახურდავებენო, დასძენს გაზეთი.

## დეპეშები

(„საქართველო"ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

**„ობსერვერი" იტყობინება სალონიკზე გალაშქრება შეჩერებულია ბულგარეთის მეოხებით, რომელიც თხოულობს წინასწარ გარანტიას, რომ ქალაქი სალონიკი მის მფლობელობის ფარგალში მოჰყვება. ხოლო გერმანეთმა-კი ამ ქალაქის ხელუხლებლობა ჯერ კიდევ ადრე აღუთქვა საბერძნეთს.**

—

**იტალიის ბრძოლის პირზე ჯართა მოძრაობა გაცხოველდა და ბრძოლასაც არა ჩვეულებრივი ინტენსიურობა დაეტყო.**

—

**გერმანელებმა სტამბოლში ახალი ჯარები გაგზავნეს.**

—

**ბულგარეთის ოფიციალი ბიულეტენი იუწყება, ოსმალეთის შტაბს კარგათ აქვს გათვალისწინებული ოსმალეთში რუსეთის ჯარის შემოჭრისა და შემოტევის მიზნები; რუსის ჯარის სამხედრო ოპერაციების შემდეგი განვითარება ოსმალეთის შტაბისთვის არც უცაბედი იქნება და არც ანაზდეული და მას სავსებით მომზადებული დახვდებაო.**

—

**ვენის ქალაქის მართველობამ გადასწყვიტა შეაერთოს მდ. რეინი, მდ. დუნაი და შავი ზღვა განუწყვეტელი მიმოსვლის მოსაგვარებლად.**

—

**რუსეთის ვაჭრობის სამინისტრო ბითლისისა და აზრუმის სამთამადნო კონცესიების გაცემას შეუდგა.**

გ. ვ.

## ახალი ამბავი

დაბა ხაშურში მომხდარ ინცინდენტის გამო, ხაშურის კომენდანტი განჩაროვი სხვაგან, უფრო დაბალ ადგილზე გადაიყვანეს.

—◆— მეფის ნაცვლის საბჭოს სხდომაზე, რომელიც 1 მარტს მოხდა მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწის თ-დ ორლოვის თავმჯდომარეობით, დაადგინეს მოწვეულ იქმნეს ყრილობა სახალხო სკოლების მასწა-

## იოანე მანგლელი ეპისკოპოსი 1666—1751 წ.

იოანე მანგლელი ერთი თვალსაჩინო სასულიერო მოღვაწეთაგანი იყო მეჩვიდმეტე საუკუნეში. აბობოქრებული და პირქუში იყო ეს საუკუნე ქართველთა ცხოვრებაში, ირგვლივ კარზე მომდგარნი ოსმალნი, სპარსნი და დაღესტნელნი, რომლებთანაც დამოკიდებულობა უფრო გამწვავდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა კავკასიისკენ გამოილაშქრა და საქართველო მის მხედრობას მიემხრო. ყველამ იცის რითაც დამთავრდა ეს ლაშქრობა და რომ ამ ლაშქრობაში უპირველეს ყოვლისა გაიჰყლიტა ბედშავი საქართველო, რის გამოც საქართველოს ცხოვრება აფორიაქდა და ბევრი წარჩინებული და თავდადებული მისი შვილი იძულებული იყო სამშობლო კერა მიეტოვებინა და უცხოეთში გადახვეწილიყო. აი ამ პირქუშსა და აბობოქრებულს დროს მოუხდა მოღვაწეობა იოანე მანგლელს, იმ დროს როცა მშვიდი საყუდარი აღარსად მოიძებნებოდა სამშობლოში და რას იტყოდა ხვალინდელი დღე არავინ იცოდა. იოანე მანგლელი პირმშო შვილი იყო იმ ხანისა, ისე აბობოქრებული და მოუსვენარი იყო მთელი მისი სიცოცხლე, როგორც აბობოქრებული იყო მთლად საქართველო. ვერსად მთელს თავისს ხანგრძლივს სიცოცხლეში მკვიდრი საყუდარი ვერა ნახა ვერც სამშობლოში და ვერც უცხოეთში. სხვათა ქვეყანაში გადახვეწილი მისი სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული სული და გული ყვითელი კელეპტარივით იწვის და დნება, იქ უცხოეთში იოსებ სამებელთან და სხვებთან ერთად იღწვის სამშობლოს სადიდებლად და ჰსურს განათლების სხივთ უხვად შემოანათებინოს სამშობლო მხარეში. ეს დაუშრეტელის ენერგიითა და სიცოცხლით სავსე მოღვაწე, იმ პირქუშ დროს ჩაუფერხებლივ შრომობს, იღწვის სიკვდილის კარამდის, ვიდრე უცხოეთში გადახვეწილი იქვე არ ჩავა საფლავსა.

იოანე მანგლელი ჩამომავლობით თავადიშვილი იყო, საკაძე გვარად. მონათესავე დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა, რომლის მოუსვენარსა და დაუდგრომელ ცხოვრებას ბევრით წააგავს იოანე მანგლელის ცხოვრება. ისიც მასავით იღვწოდა სამშობლოს სადიდებლად და ასამაღლებლად, მთელი თავისი სიცოცხლე ამას შესწირა, მაგრამ გულმკვდარმა ბედმა, როგორც ერთს ისე მეორს, საყვარელს სამშობლოში სიკვდილიც-კი არ აღირსა.

მეტად ძუნწია და მწირი პირველი ცნობები მისი ცხოვრებისა და გაზრდის შესახებ. ჩვენ მხოლოდ ეს ვიცით, რომ იოანე შვილი იყო თავადის გიორგი სააკაძისა და დაიბადა 1666 წელს.*) გარდა ამ მოკლე სხარტული ცნობისა მის დაბადების შესახებ, არაფერი შენახულა. ვიცით მხოლოდ, რომ ახალგაზრდობაშივე შევიდა დავით გარეჯის უდაბნოში, რომელიც მაშინდელს დროში სულიერი განვითარების ერთ თვალსაჩინო ცენტრად ითვლებოდა და ძალზედ მრავალ რიცხოვანი იყო. უნდა აქვე აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ მაშინდელი მონასტრები მრავალ-რიცხოვანი იყვნენ, რაც აბობოქრებულისა და მოუსვენარის გარეშე ცხოვრებით აიხსნება. მხოლოდ მონასტერში შეეძლო ადამიანს მყუდრო და მშვიდს ცხოვრებას მისცემოდა და აი ამით ერთის მხრით აიხსნება ის თვალსაჩინო გარემოება, რომ მაშინდელი მონასტრები პირთამდის სავსენი იყვნენ ბერ-მონოზნებით.

აი ამ შესანიშნავს მონასტერში მიიღო სასულიერო აღზრდა-განათლება იოანე მანგლელმა, მან ჩაუყარა საძირკველი და მისცა ის სასულიერო საზრდო, რომლითაც იგი ხელმძღვანელობდა მთელ თავის სიცოცხლეში სასულიერო სარბიელზედ მოღვაწეობის დროს. აქვე აღიკვეცა იგი ბერად და შემდეგ არქიმანდრიტის ხარისხი მიიღო. მაგრამ მის ცეცხლსა და ენერგიით სავსე ბუნებას ვერ აკმაყოფილებდა მონასტრის მჭიდრო ზღუდეები და სამოღვაწოდ იწვევდა. უდაბნოს მყუდრო ზღუდეებში ჩამკვდარს ფრთის გაშლა სჭირდებოდა, სასულიერო სამოღვაწოდ გასვლა და სასულიერო სწავლა-ცოდნის ხალხში ჩანერგვა და განმტკიცება. სამისიონერო სამოღვაწოდ ილტოდა იგი. ასეთი მიდრეკილება მისი დიდი ხანია იცოდა მონასტრის ძმობამ და ამიტომ როცა საჭიროებამ მოითხოვა ამისთანა ადამიანი, მაშინვე იგი წარადგინა მონასტრის ძმობამ.

შემთხვევაც ჩქარა გამოჩნდა. მანგლისის ეპარქია დიდად საჭიროებდა ამ გვარს მოღვაწეს, აი საქმე რაში იყო: ოსმალეთმა ქართლს, გარდა ახალციხის მხარისა, მანგლისის მხრიდამაც დაუწყო სამკვდრო-სასიცოცხლო შევიწროება აქ შევიწროებას მუსულმანთა სიახლოვე უფრო აცხოველებდა, მოლების პროპაგანდამ, ხალხის გადაბირებამ, გამუსულმანებამ დღითი-დღე უფრო იმატა. ვახტანგის განდევნის შემდეგ, ოსმალეთი სრულიად თავისუფლად პარპაშობდა მთელს ქართლში და თუმცა მეფედ ბაქარი-შვილი ვახტანგისა ითვლებოდა, მაგრამ ბევრს რამეს არავინ ეკითხებოდა იმას. მანგლისის ბედი სწყდებოდა, ოსმალეთი მთელის ძალღონით აქით აწვებოდა, შეშინებული ხალხი იძულებული იყო ან ქუდი მოეხადა ოსმალეთისათვის და გამუსულმანებულიყო ან არა და შუაგულ ქართლისაკენ გადმოხვეწილიყო. აი აქ საჭირო იყო ისეთის ენერგიის მქონე სასულიერო პირი, რომელიც ცხოველის სიტყვითა შესძლებდა ხალხის შეოკებას და შეაჩერებდა დაწყობილს პროცესს ამ კუთხის გადაშენებისას. ასეთ პირად ცნობილი იყო იოანე არქიმანდრიტი დავით გარეჯის უდაბნოსი, რომელსაც მისცეს ეპისკოპოსობა მანგლისისა და იქით გაისტუმრეს. მეფე ბაქარს, რომლის სურვილის თანახმად გაგზავნილიც იყო იოანე სრული იმედი ჰქონდა ახალის ეპისკოპოსისა.*)

მცირე ხანს დაჰყო მამა იოანემ მანგლისს. ცხოვრების ქარტეხილმა ჩქარა წაჰლეკა ისიც და ის საქართველოს მეფეც, რომლის ბრძანებითაც გაგზავნილი იყო იგი მანგლისს. ოსმალონი გაძლიერდნენ საქართველოში, ბაქარის მდგომარეობა საშიში შეიქმნა, ყველაფერს ქართლში თბილისის ფაშა განაგებდა და ისიც იძულებული იყო გასცლოდა სამშობლოს და მასთან ერთად ძლიერს რუსეთს შეჰკედლებოდა. რასაკვირველია თუ თვით მეფის მდგომარეობა მკვიდრს ნიადაგზედ არ იყო და იგი იმდენად საშიში და სახიფათო იყო, რომ იგი იძულებული იყო სამეფო მიეტოვებინა, ადვილი წარმოსადგენია, რომ ოსმალნი ხათრს არ შეუნახავდნენ მანგლისის ეპისკოპოზს. ამიტომ ბაქარის საქართველოდამ გასვლის შემდეგ, ეპისკოპოზი იოანეც ოსმალებმა აიძულეს გასცლოდა იმ ეპარქიას, რომლის სამწყსოდ და განმგებლად მოიწვია იგი საქართველოს მბრძანებელმა.

საბრალო იყო მ. იოანეს მდგომარეობა. დიდი ხნის სურვილი განუცხოველდა, მხნედ და მუყაითად შეუდგა მუშაობასა და სულთმობრძავის ეპარქიის განკურნებას, მაგრამ წყეულმა ბედმა იმდენიც კი არ აცადა, რომ საძირკველი მაინც ჩაეყარა თავისს მოღვაწეობისა და იძულებული ჰყო გასცლოდა იქაურობას. ლტოლვილი ეპისკოპოსი თვალცრემლიანი სცილდება თავისს ეპარქიას და მიდის ხირსის მონასტერში.

არ ვიცით დანამდვილებით, რამდენს დროს დაჰყო ხირსის მონასტერში, მაგრამ ეს კია რომ ჩქარა სულ სხვა ადგილსა და გარემოებაში ვხედავთ მას.

მოგეხსენებათ, რომ 1724 წელს პეტრე დიდმა კავკასიისაკენ გამოილაშქრა. მას კასპიის სანაპიროების ხელში ჩაგდება სურდა და იქ ვაჭრობა-აღებმიცემობის აყვავება და მით რუსეთის მრეწველობისათვის ფართე ბაზრის შეძენა. პეტრე დიდის მეცადინეობა ბრწყინვალედ დამთავრდა: ხელში ჩაუვარდა და დაისაკუთრა არა მარტო თარღუ და დარუბანდი, არამედ მთლად აღმოსავლეთ-სამხრეთი სანაპიროები კასპიის ზღვისა მაზანდარა, გელანასტარაბით. მაგრამ რათა უფრო მკვიდრი ყოფილიყო რუსეთის აქ მფლობელობა, ამიტომ რუსეთის მთავრობა მუდამ იმის მეცადინეობაში იყო, ისეთის ეროვნებით დაესახლებინა ეს ახლად შეძენილი ადგილები, რომელნიც უფრო სანდო და გამოსადეგნი იქნებოდნენ მისთვის. ასეთ ეროვნებათ მიჩნეულნი იყვნენ ქართველები და სომხები. მრავალი მოწოდება და პროკლამაცია იგზავნებოდა ამ დროს საქართველოსა და სომხეთში და ყველას ახლად შეძენილს ადგილებისაკენ იწვევდნენ. ამასთანავე ნაბრძანები იყო, რომ ახლად გადმოსახლებულთათვის მიეცათ საუკეთესო მიწები და ადგილები, სადაც კი ისინი მოისურვებდნენ.

ზ. ედილი.

(დასასრული იქნება)

*) იხ. იოსელიანი, Описаніе древностей, г. Тифлисъ.

*) იხ. Муравьева, Грузія и Арменія გვ. 140.

ვლებელთა და სასულიერო სემინარიების დირექტორ-მასწავლებელთა.

მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი ბ-ნი ოსეცკი უმაღლესად, თხოვნის თანახმად, დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, ხოლო მის ნაცვლად დანიშნულ იქმნა ბაქოს გუბერნატორი ბ-ნი პოტულოვი.

✦ **სკოლების მზრუნველნი.** მეფის ნაცვლის ბრძანებით დამტკიცებულ იქმნენ სკოლის მზრუნველებად აზნაური ბ. გრიგოლია ბაბუშერის, სოხუმის ოლქი, 2 კლასიან სასწავლებლის, თ-დი ნიკ. ყ. თავდგირიძე—გერზეულის 1 კლასიანისა.

✦ **საქართველოს ექსარხოსმა** ყოვლადუსამღვდელოესმა პლატონმა გუშინ ნაშუადღევის 5 საათზე სამოსამართლო უწყების საავადმყოფო დაათვალიერა.

✦ **მეფის ნაცვლის** დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს სადარბაზოდ წარუდგა გენ. ლეიტ. ჩიქოვანი, რომელიც შემდეგ მეფის ნაცვლის მიერ საუზმეზე იქმნა მიწვეული.

✦ **მგოსანი ევდოშვილი.** როგორც სოხუმიდან ჩამოსულმა გვიამბო, ჩვენს მგოსანს იროდიონ ევდოშვილს სიცხეს აძლევს. ამ დღეებში ექიმებს უნდათ პნევმატორაქსი გაუკეთონ, რათა ამით მარცხენა ფილტვი დაადუნონ და მარჯვენა ფილტვმა კარგად იმოქმედოს. სიცხე თანდათან უკლებს.

✦ **გუბერნატორთან.** გუშინ, 2 მარტს დილის 11 საათზე, ახლად ჩამოსულ თბილისის გუბერნატორს ბ-ნ მანდრიკას წარუდგნენ ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი, გამგეობის წევრები გარდა მ. ა. არღუთინსკისა, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა, და ქალაქის მდივანი ა. ი. სტავროვსკი. ბ-ნმა ხატისოვმა გუბერნატორს გააცნო თავისი თანამშრომლები. გუბერნატორმა მათ მოკლე სიტყვით მიმართა, რომ თქვენი მოღვაწეობა მუდამ კანონთან იქნება შეფარდებული და ამ ნიადაგზე ჩვენ შორის უთანხმოება არ მოხდებაო.

✦ **მ. ზ. ყიფიანის პანაშვიდი.** გუშინ, 2 მარტს, ნაშუადღევის 2 საათზე. ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი იქმნა გადახდილი ცნობილ საზოგადო მოღვაწის მ. ზ. ყიფიანის გარდაცვალების დღიდან 25 წლის შესრულების აღსანიშნავად. პანაშვიდი შეასრულა გორის ეპისკოპოსმა ყოვლად სამღვდელო ანტონმა დეკანოზის კალისტრატე ცინცაძის თანამსახურებით. ჰგალობდა ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი ზაქ. ჩხიკვაძის ლოტბარობით. დაესწრნენ წერა-კით. საზ. თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი. ამავე საზოგადოებისა და სხვა ქართულ კულტ.-განმანათლებელ დაწესებულებათა, პრესის წარმომადგენელნი და სხ.

✦ **მორიგი კრება.** ხვალ, 4 მარტს, საღამოს 8 საათზე, სახელმწიფო ქონებათა გამგეობის დარბაზში კრება ექნება მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის საგანგებო კომისიას, რომელიც უნდა შეუდგეს კომიტეტის 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის შემუშავებას.

✦ **ხმოსანთა არჩევნები.** 1 მარტს ქალაქის გამგეობის დარბაზში კრება ჰქონდა ქალაქის ამომრჩეველთა ერთ ჯგუფს, რომელიც თავისს თავს „საბჭოს ახალ პარტიას" ეძახის. ხანგრძლივ კამათის შემდეგ ჯგუფმა ქალაქის სხვა და სხვა უბანში რამდენიმე კანდიდატი დაასახელა ხმოსნად.

✦ **სანიტარული წესები.** ზაფხულის მოახლოვების გამო, როცა შიში არის ათასგვარ ავადმყოფობის გაჩენის მხრივ, თბილისის პოლიცმეისტერმა ბ-ნმა ზდანოვსკიმ თავისს ხელქვეითებს უბრძანა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მტკვრის ნაპირებისა და ხევების სისუფთავეს, რადგან ამ ადგილას ხალხს ყოველგვარი სიბინძურე გააქვს გადასაყრელად.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 2 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 112, ხუნაგიანი 32, ყვავილიანი 2, სახადიანი 48 და საოფლიანი 13 კაცი.

✦ **სიტყვაკაზმული** მწერლობის საზოგადოება აუწყებს საზოგადოებას, რომ მარტის 6-ს **სანდრო შანშიაშვილი** ველარ წაიკითხავს თავის ნაწარმოებს „ბერდო ზმანიას". წაკითხვა გადაიდო მარტის 13-სათვის.

✦ **კარტოფილის აღმოჩენა.** გუშინ, 2 მარტს, მე-7 უბნის ბრქაულმა ბ-ნმა დავიდოვმა აღმოაჩინა ნამალევი 300 ფუთი კარტოფილი და თავის ხელქვეითებს გადასცა გასასყიდლად, ხოლო კარტოფილის პატრონს ოქმი შეუდგინა. ფუთ კარტოფილს შვიდ აბაზად ჰყიდდნენ. დედაკაცები გაჩქარებით გარბოდნენ კალათებით ავლაბრის მოედნისაკენ, მაგრამ კარტოფილი ხელად დაიტაცეს და ბევრს სრულებითაც არ ერგო.

✦ **შემოიტანეს თბილისში 1 მარტს:** ფქვილი 4 ვაგ., ხორბალი 2 ვაგ., სიმინდი 1 ვაგ., ღვინო 4 ვაგ., შეშა 16 ვაგ., ნახშირი 1 ვაგ.

✦ **რწმუნებულების არჩევნები.** მომავალი სამი წლისათვის არჩეულნი არიან რწმუნებულებად თბილისის სათავად-აზნაურო საადგილ მამულო ბანკში ბანკის მოვალეებისამებრ: ზ. აბახაძე, ნ. ი. აბაშიძე, დ. ი. აბხაზი, კ. ი. ამირეჯიბი, ი. გ. ანდრონიკაშვილი, ა. ახნაზაროვი, ვ. ბაისოგალოვი, ი. გ. ბარათაშვილი, ი. ა. ბარათაშვილი, ნ. ა. ბარათაშვილი, ა. ბერელაშვილი ვ. ბერელაშვილი, ნ. ს. გაბაშვილი, გ. ბ. გვაზავა, ქრ. ღვინიაშვილი, ი. გედევანი, გ. ა. გედევანი, ფ. გოგიჩაიშვილი, ბ. ა. გრუზინსკი, პ. ა. გრუზინსკი, ვ. გუნია, დ. ა. გურამიშვილი, შ. დედაბრიშვილი, ა. დ. დეკანოზიშვილი, ვ. ა. დებიდოვი, ი. გ. ჯორჯაძე. დ. დ. ჯუმუხაძე, ა. ძეგველი, ა. ნ. დირამიძე, გ. ნ. დირამიძე, გ. დ. ქურული, ი. ნ. ზუბალაშვილი, ი. ს. ზურაბიშვილი, ი. პ. ისარლიშვილი, ე. ო. იოსელიანი, ს. ნ. ყაზახაშვილი, გ. ნ. ყაზბეგი, რ. ნ. ყაზბეგი, ზ. კანდელაკი, ვ. გ. ქართველიშვილი, მ. გ. ქართველიშვილი, რ. მ. ყარალაშვილი, გ. დ. კვილიშვილი. ი. კვეზერელი-კოპაძე. გ. კვეზერელი-კოპაძე, ნ. ი. კეზელი, ტ. ს. ქიქოძე, ვ. რ. ყიფიანი, მ. კ. ყიფიანი. ს. ვ. ყიფიანი, ა. თ. ყიფშიძე, გ. თ. ყიფშიძე, ი. ბ. ლორთქიფანიძე, ი. გ. მაღალაშვილი, გ. დ. მაყაშვილი, დ. ზ. მაყაშვილი პ. გ. მაჩაბელი, ა. ბ. მდივანი, კ. ა. მელიქიშვილი, ნ. მ. მელიქიშვილი, ვ. გ. მელქუმოვი, კ. დ. მესხი, კ. ი. მესხიშვილი, შ. ვ. მიქელაძე, ა. მირიანაშვილი, გ. იმ. მუსხელიშვილი, ვ. ს. მუსხელიშვილი, კ. ნ. მჭედლიშვილი, ი. ნანობაშვილი, გ. თ. ნათაძე, ა. ნატროშვილი, დ. კ. ნაცვლიშვილი, ნ. ი. ნიკოლაძე, ი. ი. ნიკოლაძე, ა. ი. ორბელიანი, დ. ა. ფავლენიშვილი, ა. ფორაქაშვილი, დ. ფორაქაშვილი, ს. ფორაქაშვილი, ი. ფურცელაძე, ის. ფურცელაძე, ე. ი. რამიშვილი, ი. გ. რატიშვილი, ვ. ა. სარაჯიშვილი, გ. ვ. სარაჯიშვილი, ი. ზ. სვანიშვილი, დ. ა. სოდაგოვი, ი. მ. სუმბათაშვილი, ე. ს. თაყაივილი, ს. ტარიელიშვილი, მ. ი. თუმანოვი, ს. თ. ხუნდაძე, ი. ა. ცაგარელი, ა. მ. ციმაკურიძე, ი. ი. წინამძღვრიშვილი, გრ. ჩარკვიანი, ი. ლ. ჩერქეზიშვილი, ლ. ლ. ჩერქეზიშვილი, ხ. ბ. ჩერქეზიშვილი, ზ. ჰოჭინაძე, გ. დ. ერისთავი და რ. ი. ერისთავი.

## ქუთაისი.

**შიო მღვიმელის დღესასწაული.** მოხდა ყველა კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრება, შიო მღვიმელის 30 წლის მოღვაწეობის გამო, ქუთაისში დღესასწაულის გადახდისათვის. როგორც დაადგინეს დღესასწაული უნდა მოეწყოს 13 მარტს სადგურზე მას დახვდებიან ბავშვები, მათ წრიდან ერთი ბავში ეტყვის მისასალმებელ სიტყვას და შემდეგ ბინაზედ ეტლებით მიაცილებენ. დღესასწაულებზე ლექსებს წაიკითხავენ ბავშვები. სიტყვებს წარმოსთქვამენ აგრეთვე დაწესებულებათა წარმომადგენელნიც. თითო სიტყვა განსაზღვრული უნდა იქნეს ხუთი წუთით. კრებამ აირჩია კომისია, რომელიც უნდა შეუდგეს თადარიგს დღესასწაულისათვის.

— საგუბერნიო სამართველომ სოხუმისა და ზუგდიდის შუა გზაზე ძველი ხიდების გასაკეთებლად გადასდო 90,000 მანეთი.

— ამ დღეებში წვრილ კრედიტთა საგუბერნიო მყიდველი ბიურო მიიღებს 20,250 ფუთ შაბიამანს. ფუთი შაბიამანი გაიყიდება 16 მანეთად.

## მომგებიანი ბილეთები

პეტროგრადი (დეპ.).

მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

| | | | |
|---|---|---|---|
| 200.000 მან., | სერია | 7691, | № 38. |
| 75.000 | „ | 3563, | № 6. |
| 40.000 | „ | 9537, | № 45. |
| 25.000 | „ | 8322, | № 14. |
| 10.000 | „ | 2235, | № 4, |

13834/45, 18378/8.

8.000 მან., სერია 1394, № 4, 1333/24, 10877/25, 1765/16, 12209/49.

5.000 მან. 6628/8, 8206/20, 8103/46, 2547/45, 3186/15, 7734/41, 261/37, 9673/24.

1.000 მან. 17011/35, 16253/27, 15579/23, 10900/43, 11088/45, 11129/14, 5872/17, 4937/29, 10888/8, 13802/8, 12168/2, 6784/23, 2378/50, 6736/22, 4996/33, 9337/59, 6545/1, 18465/25, 1665/11, 18551/13.

## ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია

1 მარტს ბათომიდან თბილისს ჩამოვიდა ქართველ მაჰმადიანთა დეპუტაცია. ამ დეპუტაციაში შედიან რეჯებ ბეგი ნიჟარაძე, ჯემალ ბეგი ხიმშიაშვილი და ოცამდე კაცი აჭარის სხვა და სხვა კუთხიდან. დღეს, დილის 11 საათზე, დეპუტაცია წარუდგება მეფის ნაცვალს დიდს მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და მადლობას მოახსენებს იმ მფარველობისა და გულშემატკივრობისათვის, რომელიც მისმა იმპერატორებითი უმაღლესობამ გამოიჩინა ამ ისტორიულ ხანაში ქართველ მაჰმადიანებისადმი.

## ქართულ საქ. საზოგადოების მოღვაწეობა

საზოგადოების მთავარმა გამგეობამ განყოფილებებს მოსთხოვა მათი მოქმედების ანგარიში, რომელიც საჭიროა არის საზოგადოების წლიურ ანგარიშში მოსათავსებლად. მთავარ გამგეობას ჯერ-ჯერობით სენაკისა და ოზურგეთის განყოფილებებისაგან მოუვიდა ანგარიში. ამ ანგარიშებიდან ნათლად სჩანს, თუ როგორის ენერგიით ეკიდებიან საზოგადო საქმეს პროვინციის მოღვაწენი.

**სენაკის განყოფილება** დაარსდა წარსული წლის 18 ენკენისთვეს. გამგეობამ უმთავრესი ყურადღება მიაქცია გადმოხვეწილთა, წყალდიდობისაგან დაზარალებულთა და ჯარისკაცთა ოჯახების მდგომარეობას. ამისათვის განყოფილება შეუდგა სარეგისტრაციო პუნქტების დაარსებას. ასეთი პუნქტები დაარსდა: აბაშასა, ნოღალევსა, ძველ სენაკსა, ბანძასა, აბედათსა, ნოქალაქევსა და კიწიაში. ცნობების შეკრებასა და სარეგისტრაციო პუნქტების დაარსებაში გამგეობას დიდად შეელოდნენ საკრედიტო დაწესებულებანი. განყოფილებას მიუღია მთავარ გამგეობისაგან 2 ათას მანეთამდე, მაგრამ ეს ერთობ მცირეა ყველა გაჭირვებულთა ცოტაოდნად მაინც დასაკმაყოფილებლად, რადგან ზედმეტად გაჭირვებული ერთობ ბევრია. განყოფილებას ცოტაოდენი დახმარება აღმოუჩენია გაჭირვებულთათვის 7 საკრედიტო დაწესებულების რაიონში, ხოლო 16 საკრედიტო დაწესებულებათა რაიონების მცხოვრებთ უსახსრობის გამო სრულებით არა მიუღიათრა. განყოფილება სთხოვს მთავარ გამგეობას იმდენი ფული მაინც გამოვიგზავნეთ, რომ ზედმეტად გაჭირვებულთ რაიმე დახმარება აღმოუჩინოთო.

განყოფილების წევრთა რიცხვი დღითი დღე იზრდება. ამ გარემოებას დიდად შეუწყო ხელი საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების კრებამ, რომელზედაც ის აზრი გამოითქვა, რომ ამხანაგობათა წევრები და ყველა შეგნებული ქართველი ვალდებულნი არიან წევრებად შევიდნენ საზოგადოებაშიო.

**ოზურგეთის განყოფილება** დაარსდა წარსული წლის გიორგობისთვეში და გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ოზურგეთის ქალაქის მოურავი თავ. კ. ერისთავი, რომელიც თავისი თანამშრომლებითურთ მაშინვე შეუდგა განყოფილების წარმატებისათვის ზრუნვას. მიმდინარე წლის 1 იანვარს განყოფილებას ჰყავდა მხოლოდ 9 წევრი, მაგრამ ამ ბოლო დროს წევრთა რიცხვი 118-დე ავიდა. განყოფილებამ დიდი ყურადღება მიაქცია ომის ასპარეზიდან ლტოლვილთა და ომიანობისაგან დაზარალებულთა შესახებ ცნობების შეკრებას. ამისათვის განყოფილების მინდობილებით მთელი გურია შემოიარა ბ-ნმა მ. საბაშვილმა, მრავალი საყურადღებო ცნობები შეკრიბა ხალხის გაჭირვების შესახებ და დაარსა სარეგისტრაციო პუნქტები: ოზურგეთსა, ჩოხატაურსა, ნიგოითსა, ხიდისთავსა, ნანეიშვილისსეულსა და მიქელგაბრიელსა. შეკრებილ უტყუარი ცნობებით რიცხვი გაჭირვებულთა, რაიცა მომეტებულად ომიანობამ შექმნა, ერთობ დიდია. რამდენიმე მათგანს განყოფილებამ ცოტაოდენი დახმარება აღმოუჩინა, მაგრამ უსახსრობის გამო გაჭირვებულთა დიდ ნაწილს ვერა დაეხმარა-რა. სხვათა შორის განყოფილებამ მცირე ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა სოფ. აჭის სკოლას, საცა ქართველი ქრისტიანე და მაჰმადიანი ბავშვები სწავლობენ. მთავარი გამგეობიდან დღემდის მიუღია განყოფილებას 2,000 მან.

## სახელმწიფო სათათბირო

1 მარტის სხდომა

როდზიანკო თავმჯდომარეობს, შემდეგ ვარუნ-სეკრეტი. სათათბირო აკმაყოფილებს რა თხოვნას კომისიისას კოოპერატივების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაზე გადადის.

**გრონსკი.** პოლიტიკა დარჩა ძველი, როგორიც იყო მაკლაკოვის დროს. მთავრობამ ალღო ვერ აუღო მომენტს და განაგრძობს საზოგადოების ძველებურად შევიწროებას. საჭიროდ სთვლის ბოლო მოეღოს შეცდომებს და მომენტს ყური უგდოს. საჭიროა სამინისტრო საზოგადოების ნდობით იყოს აღჭურვილი (ტაში)

**სინადინო.** მთავრობის დაწესებულებებში გამეფებულია ძველებური უწესოება. რაც ართულებს მდგომარეობას. სამინისტროს არა აქვს საჭირო ადგილებში საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომელზედაც მას შეეძლოს დამყარება. უნდა მოხდეს მთავრობის და საზოგადოების შერიგება უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ბრძოლის ველზე მყოფნი უმტრესები აღიარებენ, საზოგადოების დაუხმარებლივ, ძნელია ომის მოგება. (ტაში)

**თავმჯდომარეობს ვარუნ-სეკრეტი** მანსირევის და ალექსანდროვის სიტყვები თავმჯდომარემ სტენოგრამიდან ამოიღო.

**გოლდმანი.** გამარჯვება შეიძლება არა მხოლოდ ყუმბარებით, არამედ ახალი კანონების შემოღებითაც. ბალტიის ადმინისტრატორები ისე იქცევიან, თითქოს ბერლინიდან იყვნენ მოწვეულნი და არა პეტროგრადიდან. მხარეში ისეთი ძლიერი ძალა უნდა იყოს, რომ მტერმა ვერ შესძლოს ამხანაგების გამოძებნა.

გოლდმანის შემდეგ ლაპარაკობენ სავენკო, ბომაში, სუხანოვი და მარკოვი მეორე.

**ხაუსტოვი** სოც.-დემ. სახელით მოითხოვს ახლო მომავალში განხილულ იქმნას მიზეზები პუტილოვის ქარხნის შეჩერებისა. სათათბირო არ იღებს წინადადებას და გადასცემს თავმჯდომარეს განსახილველად.

**სავენკოს** სიტყვა სათათბიროს თავმჯდომარემ გაუშვა.

**ბომაში** აღნიშნავს-რა იმას, რომ გამოცხადებისათანავე რუსეთში მყოფნი ყველა ეროვნებები შეერთდნენ, მაგრამ მთავრობა ძველებურად განაგრძობდა ებრაელების დევნას.

მემარჯვენეების კრების შემდეგ მოსკოვში და ნიჟ.-ნოვგოროდში, დაიგზავნა ცირკულიარები ებრაელების წინააღმდეგ.

**თავ. მანსირევი** ლაპარაკობს გერმანელთა მოსახლეობაზე და აღნიშნავს, რომ რაც ხვოსტოვმა მინისტრობა მიიღო არავითარი ახალი რამ ძველ წესებში არ შეუტანია. ბალტიის მხარეში ძველი წესია გამეფებული, ამისათვის მოითხოვს მთელი მხრის ორგანიულ რეფორმებს. ბოლოს დასძენს, ერთი მინისტრი შინაგან საქმისა პასუხის მგებელი ვერ გამოვა, საჭიროა ბრალი დავსდოთ მთელ წესწყობილებას.

**ალექსანდროვი.** როდესაც ჩვენ აქ ხარჯ-აღრიცხვას ვიხილავთ, იქ ვერდენთან სწყდება ბედი ჩვენის სამშობლოისა. უსურვებს ჩვენ მოკავშირეს სრულ გამარჯვებას (დიდი ტაში). არ შეიძლება ნაციონალურ გრძნობათა გამწვავება. ამ კრიტიკულ მდგომარეობის დროს, ყველა ერთი-ორად უნდა შეერთდეს. ბოლოს მოითხოვს პოლიტიკურ ამნისტიას (ტაში მემარცხენეებში და ცენტრში).

**სუხანოვი.** მტრის ტეხნიკის სიდიადეს არ შეეძლო ისეთი დიდი ვნება მოეცა ჩვენთვის, თუ რომ არა ვილგელმის მომხრენი, რომელნიც რუსეთში არიან დამკვიდრებულნი.

**სავენკო** უპასუხებს მარკოვ მეორეს და ამბობს, რომ სიმართლეს არ შეეფერება ვითომც პროგრესისტთა ბლოკის პროგრამა იყოს განმეორება კა—დეტთა პროგრამისა. არ შეეფერება სიმართლეს, ვითომც ბლოკი თხოულობდეს პასუხისმგებელ სამინისტროს, ორატორი აღნიშნავს, რომ არ იცის რა იმ ბარაქისა, რომელზედაც ამბობდნენ, რომ წარუდგენიათ მაკლაკოვს, შჩეგლოვიტოვს და ბარ. ტაუბეს. ვიცი მხოლოდ მემარჯვენეთა წერილი, 150 ხელმოწერილი, სადაც ლაპარაკია ომის გაგრძელებაზე (ხმაურობაა), „დაასახელეთ გვარები", „ეგ სიცრუეა", ისმის მემარჯვენეებისაგან. სავენკო აცხადებს, რომ შეუერთდნენ პროგრესისტთა ბლოკს, რადგანაც სურთ ომის კარგათ დაგვირგვინება.

**მარკოვი მეორე პასუხს აძლევს პროგრესისტთა ორატორებს, ვითომც მათ არა სურთ იმუშავონ იმ მინისტრებთან, რომელთაც თვითონ არ** ამოირჩევენ. სავენკოს განცხადებას, მარკოვი უწოდებს სიცრუეს და ცილისწამებას (ტაში მარჯვნივ. თავმჯდომარე ორატორს წესიერებისაკენ იწვევს). კრება დაიხურა 6 საათ. 10 წ.

შემდეგი კრება ხუთშაბათს მოხდება.

## სახელმწიფო საბჭო

თავმჯდომარეა კულომზინი.

განაგრძობენ შემოსავლისდაგვარ გადასახადის განხილვას. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მეხუთე მუხლმა, რომელიც ეხება სავაჭრო და სააქციონერო დაწესებულებებზე გადასახადის დადებას. გურკო მოითხოვს ამ დაწესებულებათა განთავისუფლებას შემოსავლისდაგვარ გადასახადისაგან, უამისოდ ორმაგი გადასახადი დააწვებათო. იგი მოითხოვს მსხვილი მრეწველობის შველას. დიდი კამათის შემდეგ მეხუთე მუხლი მიიღეს იმ სახით, რა სახითაც იგი წარმოადგინა სახელ. სათათბირომ.

ერთხმად მიიღეს მეექვსე და მეშვიდე მუხლები, რომელიც მოითხოვდა მეფის, დედოფლის, დიდის მემკვიდრის, მეფის უწლოვან შვილების განთავისუფლებას შემოსავლისდაგვარ გადასახადებისაგან.

## საზოგადოება „კახეთი"-ს წლიური კრების გამო

19 თებერვალს დაიწყო და 21-ს დასრულდა წლიური კრება საქართველოს უძველესი და უდიდესი მწარმოებელ-გამსაღებელი კოოპერატივის, საზოგადოება „კახეთი"-სა, რომელიც ამავე დროს პირველი და უდიდესი კოოპერატივია მთელს რუსეთის იმპერიაში მევინეობისა და მევენახეობის დარგში. ოცს წელიწადზედ მეტია რაც არსებობს საზოგადოება „კახეთი", რომელიც პირველ ხანებში ატარებდა ამხანაგობის სახელს და 1895 წლიდან კი მოქმედობს მთავრობისაგან დამტკიცებული წესდების ძალით. წესდების დამტკიცებაში და საზოგადოების საძირკვლის ჩაყრაში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი მოღვაწენი, როგორც ილია ჭავჭავაძე, სვიმონ ვახვახიშვილი და სხ. და მართლაც წესდება იმდენად შეფერებულია (შემდეგის შესწორებით) ცხოვრებასთან, რომ საზოგადოებას ამ ხნის განმავლობაში უნდა დაემსახურებინა განუსაზღვრელი ნდობა, როგორც მომხმარებელის, ისე მწარმოებელის თვალში; მაგრამ საღმა იდეამ, რომელიც საფუძვლად დაედო საზოგადოებას, თავის დროზე ხორცი ვერ შეისხა. ხოლო 1905—8 განსაცდელის წლებში, საზოგადოება ცოტას გაწყდა არ დაირღვა; მაგრამ ერთის მხრით თავადაზნაურობის საადგილ-მამულო კომისიის მიშველებამ და მეორეს მხრით თავათ კოოპერაციის ჯანსაღმა პრინციპებმა ლელო გაიტანეს და საზოგადოება დაღუპვას გადაარჩინეს- ამგვარად, ერთ დროს ძირამდის შერყეული საზოგადოება, როგორც მოვახშეებისა და მოვალეებისაგან, ისე თვით წევრების და ხელმძღვანელთა გადაცდენის გამო წესდებისაგან ნაკარნახევ გზიდან, ნელა-ნელა გასწორდა წელში და თანდათან აღიდგინა ნდობა როგორც წევრებისა კახეთში, ისე გარეშე დაწესებულებათა და პირებისა; მომხმარებელთა ნდობა ხომ ყოველთვის სამართლიანად ჰქონდა დამსახურებული „კახეთი"-ს, თავისი ბუნებრივი კახური ღვინოებით და ეს ნდობა არც შერყეულა არას დროს, ვინაიდან საქმის წარმოების სხვა და სხვა ნაკლს გავლენა არ მოუხდენია ღვინის ღირსებაზედ.

თუ რამდენად გამოსწორდა „კახეთი"-ს საქმე და რამდენად მკვიდრ ნიადაგზედა სდგას ამ ჟამად, სჩანს უკანასკნელი დროის ანგარიშიდან, როცა, გაყიდული ღვინის რაოდენობამ გაასწრო წინა წლების რაოდენობას და შემოსავალმაც საგრძნობლად იმატა. 1913-14 საანგარიშო წელიწადი თუ გაყიდული ღვინის რაოდენობით იყო პირველი საზოგადოების ხრსებობაში, (გაიყიდა 92.290,9 ვედრო—327.427 მ. 09 კ.), 1914—15 წელიწადი პირველი იყო ღვინის ღირებულებით:"*) საშუალოდ ვედრო ღვინო გაიყიდა 5 მ. 38 კ., მაშინ როდესაც წინა წლებში 3 მ. 55 კ. ზეით არ ასულა.

საანგარიშო წელს მარტო ღვინო გაიყიდა 552,300 მანეთისა, რამაც სხვა შემოსავალთან ერთად (ბოჭკებისა, ბოთლებისა, ნისიები და სხ.) შეძლება მისცა საზოგადოებას გადაეხადნა 125 901 მ. და 87 კ. ვალი (რომელშიაც შედის 52,193—99 კ. დარჩენილი წევრებისა), მოგება 73,497—92 კ. 1914 წლის შოსავლისა და წმინდა მოგება დარჩა 103,642—40 კ. ამ მოგებიდან ჩამოიწერა უიმედო დებიტორების (19,782) და ეგრედ წოდებულ „პერებორშჩიკების" ვალი (78,660 მ.), რომელიც მძიმე ტვირთად აწვა საზოგადოების ბალანსს.

როგორც დაინახავს მკითხველიც, ზარალში ჩამოწერილი თანხა (78,660) უმთავრესად თვით საზოგადოების შემადგენელ წევრებზედ არის და აქედანაც შეუძლიან დაასკვნას თუ რა ძნელი და ამასთანავე აუცილებელი ოპერაცია იყო საზოგადოების დოსტაქრებისათვის იმ 95 წევრის აღიარება „მოვალეობის დამრღვევლად", რომელნიც წრევანდელმა კრებამ აღიარა ასეთებად. თუმც წესდების ძალით, ყოველი წევრი, რომელიც მოვალეობას არ იხდის საზოგადოების წინაშე, მექანიკურად შორდება მას, წრეულს საზოგადო კრებამ საგანგებო კომისია აირჩია იმ წევრთა სიის შესადგენად, რომელნიც სისტემატიურად ვნებას და ზარალს აყენებდნენ საზოგადოებას თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით. 95 წევრის ერთბაშად ჩამოშორებამ, შეიძლება ვინმე შეცდომაში შეიყვანოს და აფიქრებინოს, რომ ეს მავნე მოვლენაა საზოგადოებისათვის, მაგრამ საქმესთან ახლო მდგომებმა კარგად იციან, თუ რამდენათ უხერხული და საზარალოა ყოველის მხრივ ის მდგომარეობა, როდესაც წევრი თავის მოვალეობას არ ასრულებს, საზოგადოებას ღვინოს არ აბარებს და ამით მთელ წინასწარ მოსაზრებასა და ანგარიშებს რევს. თავის მოვალეობის აუსრულებლობა, გარდა ყველა სხვა მავნებლობისა, აუარებელ ზარალსაც აყენებს საზოგადოებას და ამ მხრივ ერთბაშად „ჩამოწერა ზარალისა" როგორც ბალანსიდან, ისე საზოგადოების შემადგენლობიდან აჯანსაღებს საზოგადოებას და ხალას მდგომარეობასა ჰქმნის.

საზოგადო კრებამ ამას გონივრულად შეხედა, გაითვალისწინა ყველა მხარე დადებითი და უარყოფითი და საკითხი სამართლიანად და საზოგადოების საკეთილდღეოდ გადასწყვიტა. ამას იქით დარჩენილი წევრები უზრუნველყოფილნი იქნებიან, რომ მათი მონაგარი სხვათა ხელში არ გადავა და ისინი არც რისკს გასწევენ სხვისა ვალების გადასახდელად თავისი ღვინიდან.

გარდა ამ ანგარიშების და წარმოების გაუმჯობესებისა, გარდა ბალანსის და საზოგადოების განწმენდისა, რასაც თავისთავადაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს, საზოგადოება ეხლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევს და შეძლებაცა აქვს მიაქციოს წარმოების კოოპერატიულ მხარეს, სცდილობს უფრო მჭიდროდ შეაკავშიროს წევრები, უფრო დაახლოვოს საზოგადოების საერთო ინტერესებს და გააუმჯობესოს არა მარტო ღვინის გასაღების პირობები, არამედ თვით ღვინის დამუშავებაც. უკანასკნელისათვის განზრახულია და თანხაც საკმაო გადადებული, რომ საზოგადოებამ შეიძინოს კახეთში ადგილი მთავარი საწყობისათვის და საჩვენებელ მეურნეობისათვის, მოაწყოს საწყობები ვენახის წამლეულობისა და საჭირო მანქანებისათვის, გამოსცეს ბროშურები მეღვინეობაზედ და სხვა და სხ., რაც ბუნებრივად გააცხოველებს წევრთა ურთიერთობას, საერთო ინტერესების შეგნებას და მატერიალურ დოვლათის ზრდასაც დააჩქარებს. ესეთი იდეური დაახლოვება „კახეთი"-ს საზოგადოების წევრებისა ერთმანეთთან და გამგეობასთან და ამავე დროს ამაღლება ნაწარმოების ღირსებისა და შემოსავლისა, რაღა თქმა უნდა გავლენას იქონიებს საზოგადოთ კახეთის მეურნეობაზედ, თავისი კულტურული მნიშვნელობით.

ზემო აღნიშნული ფაქტი საზოგადოების გაწმენდისა, ისეთ ელემენტებისაგან, რომელნიც მხოლოდ ქაღალდზედ იყვნენ აღნიშნულნი აღრმავებს ამ მოსაზრებას და საშუალებას აძლევს დარჩენილ კეთილ-სინიდისიერ წევრებს სრულიად საღ და მტკიცე ნიადაგზედ ააგონ საზოგადოების მომავალი. ამის თავდები და საუკეთესო მაჩვენებელი ის გარემოება, რომ საზოგადოებასა აქვს, როგორც გამოირკვა წრეულობით 700,000 მანეთზე მეტისა მარტო ღვინო და სხვა საშუალებასთან ერთად (ბოჭკები, ინვენტარი, უზრუნველყოფილი ნისიები და სხ.) მისი ქონება ადის ერთ მილიონ მანეთამდე. ამიერიდან მას არავითარი შიში აღარ მოელის და პირ იქით თავისუფალი გზა აქვს გახსნილი სრულ განვითარებისა და გაფართოებისაკენ.

*) გამგეობის მოხსენება 1916 წ. 19 თებერვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] ნივრად მოიკიდოს ფეხი ჩვენში და როგორც უკვე არსებულ კოოპერატივს მეღვინეობისას—შესამჩნევი დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოება კახეთს; ეს დახმარება შეიძლება იყოს როგორც ნივთიერი, ისე იდეური, პროპაგანდით, შეკავშირებით და კოოპერატიულ ატმოსფერის შექმნით კოოპერატიულ იდეის გასაღრმავებლად. სწორედ აღნიშნულ ერთსულოვნობას საზოგადოების ფარგლებში და თანამშრომლობას სხვა თანაზიარ კულტურულ დაწესებულებასთან შეუძლიან გარდაჰქმნას საზოგადოება „კახეთი“ უდიდეს კოოპერატივად, საკულტურ-საეკონომიო დაწესებულებად, რომელიც გაანთავისუფლებს მთელ კახეთს შუამავალ ჩარჩების კლანჭებისაგან და მტკიცე სისტემას მისცემს მთელ მეურნეობას. ასე ფართოდა გვაქვს წარმოდგენილი „კახეთი“-ს მომავალი და უსურვოთ მას რომ უკვე არსებული „ნიშნები“ ამ მომავლისა გაღრმავდნენ და სინამდვილედ იქცნენ.

წევრი.

# ეკონომიური ცხოვრება

**გორის საურთიერთო კრედიტის გარშემო.**

გორის საურთიერთო კრედიტის გამგეობის თავმჯდომარე—ბ. გრიგორაშვილი გუბერნატორმა ქალაქის თავად დაამტკიცა. საინტერესოა ვიცოდეთ ბანკის საბჭოს აზრი—ვინა ჰყავს მას მხედველობაში მომავლისთვის ბანკის ბატონ-პატრონად? ბ. გრიგორაშვილს ბანკის გამგეობის წევრობის ვადა გასდის მომავალ 1917 წ.; შეიძლება მან მოისურვოს და დარჩეს გამგეობის წევრად, მხოლოდ უსასყიდლოდ—საპატიოდ? ეს მას ხელს არ შეუშლის ახალი თანამდებობის აღსრულებაში და კანონითაც ქალაქის თავს შეუძლიან ერთდროულად იყვეს ბანკის გამგეობის წევრადაც. ჩემი აზრით ბ. გრიგორაშვილი უარს არ იტყვის ბანკის გამგეობის საპატიო წევრობაზე, თუ რომ მას ბანკში ეყოლება მოადგილედ საქმის მცოდნე, სანდო და მუყაითი პირი. ესეთიც მოგვეპოვება შიგვე ბანკში—მე მყავს მხედველობაში ბ. გოგებაშვილი შალვა ზაქარიას ძე, რომელსაც თვით გრიგორაშვილი პატივსა სცემს, როგორც მუყაითს და საქმის მცოდნე კაცს.

გოგებაშვილი ახალგაზრდა 29—30 წლის კაცია, აღჭურვილი სპეციალური კომერციული განათლებით, რომელიც მიიღო კიევის კომერციულ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მიწვეულ იქმნა ქ. სიღნაღში საურთიერთო კრედიტის მოსამსახურედ. სიღნაღელებმა ბ. გოგებაშვილი მალე გაიცნეს, როგორც საქმის მცოდნე, და მეორე წელსვე ბანკის თავმჯდომარედ აარჩიეს, ჩააბარეს რა მას მისი ბატონ-პატრონობა. საქმეც ჩინებულად მიჰყავდა, მაგრამ სამშობლო ქალაქის სიყვარულმა დასძლია მას, დიდს ადგილს თავი დაანება და გორის ბანკში ბუხგალტრად გადმოვიდა. გოგებაშვილი ნამდვილი ეკონომისტია, იგი ყოველთვის იმის ცდაშია, რომ საზოგადოებრივ დაწესებულებას სათავეშივე მკვიდრი ნიადაგი ჩაეყაროს—რათა შემდეგში მისი კედლები უზრუნველ-ყოფილნი იყვნენ. მაგალითისთვის არ შემიძლიან უყურადღებოდ დავტოვო მისი განცხადება კოოპერატივის, რომლის გამგეობის თავმჯდომარე არის ის საზოგადო კრებაზე, თუმცა კრებამ კოოპერატივის ბუხგალტერისთვის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა თვეში 100 მან., მაგრამ, მანამ საქმე მკვიდრად არ დადგება, მე ბუხგალტერს არ მოვიწვევ და მის საქმეს მე თითონ ვაწარმოებ უსასყიდლოდაო. გოგებაშვილისთანა პირნი ჩვენ უკუღმართ ხანაში სანთლით საძებარნი არიან. ნუთუ არ უნდა ვისარგებლოთ მისი გორში დაბრუნებით?!. ნუღარ დავკარგავთ დროს და ჩვენ, ბანკის წევრებმა, მივმართოთ მას თხოვნით—ჩვენ ბანკშიც იტვირთოს გამგეობის წევრობა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბუხგალტერიის გამგეც თითონ იყვეს.

[illegible] ...როე ბუხგალტერიის გამგე და ამასაც კასირის თანამდებობის აღმასრულებელი. ხარჯები რა თქმა უნდა შემცირდება; მარტო გამგეობის წევრებისა და ბუხგალტრის სასყიდლიდან წლიურად დარჩება 3000 მან. ამის წინააღმდეგი არავინ იქნება, მაგრამ მე ერთი რამ მაკვირვებს—საბჭომ დღევანდლამდის რატომ ანგარიში არ გაუწია გოგებაშვილის ასეთ სიმპატიურ წინადადებას და რადა სდუმს! ბანკში რეფორმის შეტანა დიდი საქმეა, დიდ საქმეს-კი მომზადებით უნდა შეხვედრა—აუცილებელია წინასწარი კრება. ესე მოხდა ორი წლის წინად, როცა ბ. თუმანიშვილმა გამგეობის თავმჯდომარეობას თავი დაანება, ესევე უნდა მოხდეს ეხლაც. თუ ეს შემთხვევა ხელიდან გაუშვით, დიდს ცოდვას ჩავიდენთ და ბოლოს სინანული ვეღარ გვიშველის. საქმის გადაწყვეტაში პირველობა საბჭოს ეკუთვნის. ვუსურვებ საბჭოს გამბედაობას და მოვაგონებ, რომ დუმილი გოგებაშვილის წინადადებაზე საბჭოს დამსახურებად არ ჩაეთვლება. გოგებაშვილის სიმპატიური წინადადება საბჭომ ყველაზე წინად გაიგო; იგი ვალდებული იყო, მოეწვია წინასწარი კრება, ანუ გაემართა წევრთა კერძო თათბირი. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა, საბჭო დღესაცა სდუმს, მაგრამ ამაზე შემდეგ.

წევრი.

# ბ-ნ შალამბერიძის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

წავიკითხე ბ. შალამბერიძის წერილი კავკავის სკოლის შესახებ („საქართველო“ № 36 და 37). საქმის ვითარება ბ-ნ შალამბერიძეს სისწორით არა აქვს გადმოცემული. იგი ქართული სკოლის არა სასურველ მდგომარეობასაც აღნიშნავს. ამის მიზეზს უმთავრესად მასწავლებლებს აწერს. „საგნის ჯეროვანად ცოდნას ვინა სჩივის, მასწავლებლები ხშირად ზნედაცემულნიც კი ყოფილანო“, ბრძანებს. შეუძლებელად მიმაჩნია, ასეთი ბრალდება წამოაყენოს კაცმა და კი არ დაასაბუთოს.

შესაძლებელია ზოგი მასწავლებლები ცოდნით ღ პედაგოგიურის მომზადებით არ შეეფერებოდნენ ან ახლაც არ შეეფერებიან თავის დანიშნულებას, მაგრამ **ზნედაცემული** მასწავლებლები არსად და არც კავკავის სკოლაში არც გვყოლია, არცა გვყავს და, იმედია, არც შემდეგში გვეყოლება. ბ-ნი შალამბერიძის დახასიათება ცილისწამებაა და ჩვენი მასწავლებლების შეურაცხყოფა, რისთვისაც ჩემს გულისწყრომასა და უკმაყოფილებას ვუცხადებ მას. ვფიქრობ, კარგად უნდა იცოდეს ბ-ნმა შალამბერიძემ, რომ მასწავლებლის პიროვნება ასე სათრევი და ტალახში ამოსათითხნი არ არის. მით უმეტეს შეუსაბამოა მისი წერილის შინაარსი მასწავლებლის შესახებ, რომ იგი საერთოდ ლაპარაკობს კავკავის სკოლის ყველა მასწავლებლის შესახებ და ყველას ჩირქსა სცხებს. ამიტომ ყველასთვის გასაგები უნდა იყოს ელენე ციცქიშვილის აღშფოთება.

ჩვენი მასწავლებლები პატიოსანი, სინდისიერი და ფრიად ერთგული მუშაკნი არიან. ხოლო თუ რომელიმე სკოლაში რომელიმე იმათგანი მიზანს ვერ აღწევს და სასურველი შედეგი არ არის, ამაში უფრო სხვები არიან დამნაშავენი, ვიდრე, თვით მასწავლებელნი, ზოგან ისეთი ატმოსფერა მყარდება სკოლის გარშემო, რომ ხელის შეწყობის მაგიერ ხელს უშლის მასწავლებელს ნაყოფიერი მუშაობისთვის. ასეა კავკავის სკოლის გარშემოც. აქ ხელის შემშლელი გარემოება ძლიერია და ძალიანაც აფერხებს სკოლაში სწავლის საქმის სასურველ მსვლელობას. ამაში დამნაშავეა თვით ადგილობრივი საზოგადოება და არა მასწავლებლები.

არც კავკავის ჭრა-კერვის სკოლის შესახებ არის ბ-ნი შალამბერიძე მართალი. იგი ამბობს: იქ არც ჭრა-კერვა იციან, არც ქარგვა და არც არაფერიო. ამით უნდა ახლანდელი მასწავლებლები დაამციროს, ხოლო წინანდელი ქ-ნი ქიქოძე აღამაღლოს. აქ-კი უკანასკნელის პიროვნება უნაკლულოდ გამოჰყავს. ეს სიმართლეს არ შეეფერება. ალბად ბ-ნი შალამბერიძე კარგად ვერ იცნობს ქ-ნ ქიქოძეს და ამიტომ აგრე ცამდის აჰყავს. რაც შეეხება ჭრა-კერვის სკოლის ახლანდელ მასწავლებლებს, ისინი ძალიან კარგად არიან მომზადებულნი და თავის საგნის მშვენიერად მცოდნენი და საქმისადმი სიყვარულით აღჭურვილნი კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას, რაშიაც მე დავრწმუნდი შარშან ქრისტეშობისთვეში, სკოლის დათვალიერების დროს.

ამ წერილმა დაიგვიანა ჩემი თბილისში არ ყოფნის გამო.

წ. კ. საზოგადოების სკოლების მეთვალყურე **გრ. ბურჭულაძე.**

# სოფლის ცხოვრებიდან

(დასასრული)

დ. ცხინვალიდან ფეხით სოფ. ქვემო-ნიქოზისაკენ გავემგზავრე. გზატკეცილები სოფლად არც ომამდე იყო კარგი, ეხლა კი ღმერთმა შეინახოს. ან ვისღა სცალიან ეხლა ამისათვის. ჩვენი მთავრობა არც წინად აქცევდა ამ მდგომარეობას ყურადღებას და ეხლა ხომ თავს არ იწუხებს. განა უპატრონობას სოფელი არა გრძნობს, მაგრამ სად იშოვის იგი მანუგეშებელს? ჩვენში რომ ერობა იყოს, ყველა ზემო ჩამოთვლილ სოფლის უბედურებას თვით გაუმკლავდებოდა და თვით შეჰქმნიდა აღმასრულებელ ძალას.

უპატრონობის დაღი სოფ. ქვემო-ნიქოზსაც ამჩნევია. დედაკაცები, რომელნიც დიდ უმრავლესობას შეადგენენ სოფლად, საგონებელში ჩაცვივდნენ: ოჯახი, მამულის დამუშავება და სხვა, დღეს დედაკაცს ჰხვდა წილად. მაგრამ განა იგი შესძლებს მის გაძღოლას? საუბედუროდ ქართველი ქალი არ არის შეჩვეული მიწის დამუშავებას, ისე რომ დღეს სოფელი უნუგეშო მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ხვნა, თესვა, მკა მას არ ეხერხება, მამაკაცთა მცირე რიცხვი სოფლის მეოთხედ მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებს. წინად თუ დღიურის მოხვნა ღირდა 3 მანეთამდე, დღეს ათ მანეთად ფასობს. სოფლის ულარიბეს ოჯახებს საერთოდ საქონელი ნაკლებ ჰყავს, ისე რომ მამულის დასამუშავებლად ალოებს ყიდულობენ, დღეს კი მოხვნა-დაფარცხვის სიძვირისა გამო მიწა დაუმუშავებელი რჩება.

სოფლად ვინც დარჩა, იმათაც გამოუცდელობის გამო სოფელს ულალატეს და სოფელი ღვთის ანაბარად დასტოვეს.

ამ ორი-სამი კვირის წინად ბნელ ძალებს გაუვრცელებიათ გორის მაზრაში ხმა: ქ. ბათომში მუშა ხელი 3—5 მან. ღირსო. ცოტა ხნის შემდეგ ლიახვის ხეობას აგენტები მოსდებოდნენ. სხვა და სხვა დაპირებით და ტკბილი ლაპარაკით ბევრი გლეხკაცი გადაებირათ და უკანასკნელი მუშა ხელიც ოჯახს, სოფელს გამოეცალა: თავიანთი სვებედი აგენტებს ჩააბარეს და ქ. ბათომისკენ წავიდნენ. მარტო ქვემო-ნიქოზიდან 10—12 კაცი წასულა; ამაზე მეტი სხვა სოფლებიდან. ერთი ნაცნობი გლეხი შემხვდა, რომელიც მოტყუებით სხვებთან ერთად ბათომისაკენ წასულიყო. ორი თვის შემდეგ თავი ძლივს დაეხწია და გაძვალტყავებული, ცარიელ-ტარიელი დაუბრუნდა ოჯახს. თუ რას აკეთებინებდნენ, ან რა ტანჯვას განიცდიდა მუშა ხელი, კარგა მანძილით დაშორებული ბათუმიდან, ამას მაშინ შევეხებით, როდესაც დრო და გარემოება ხელს არ შეგვიშლის, დღეს-დღეობით-კი არ შეგვიძლიან არ გავაფრთხილოთ სოფლელები და არ ვურჩიოთ, რომ ამ უნუგეშო დროს არ დაანებონ სოფელს თავი და თავისი ბედი „უცნობ აგენტების“ ხელში არ ჩააგდონ. ეს ვაჟბატონები ლიახვის ხეობისაკენ ეხლა ვეღარავის შეაცდენენ, მეჯვრისხევ—ხურვალეთისაკენ წასულან. იმედია, საზოგადოება ამ გვარ პირთ ჯეროვან პასუხს გასცემს და სოფლიდან განდევნის.

—

სიმშილობა, ტანთ ჩაუცმელობა და საერთოდ შევიწროვებული ცხოვრება, რომელიც გამეფებულა სოფლად, წინა მორბედია სნეულება-ავადმყოფობისა და ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მივაქციოთ. თუ დღეს შეძლებით უზრუნველად ვერ ვყოფთ სოფლებს, იმაზე უნდა მაინც ვიფიქროთ, რომ ახალი საშინელება, ავადმყოფობა, არ გამძვინვარდეს სოფლად. მთელი მაზრები უექიმოთ არის დატოვებული და თუ ავადმყოფობა თავშივე არ შეჩერდა, ეპიდემიურ ხასიათს მიიღებს.

**ამ გარემოებას ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ უნდა ყურადღება მიაქციოს, უნდა იშოვნოს ექიმები და სოფლებში დაგზავნოს.** რუსეთში ყველა ეროვნულ დაწესებულებებმა ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწიეს და იმედია ჩვენი საქველმოქმედო საზოგადოება ყურად იღებს და ახლო მომავალში დაობლებულ სოფლებს მანუგეშებლად გულ-შემატკივარ ექიმთ გაუგზავნის და მით ცოტათ მაინც ჭრილობებს შეუმსუბუქებს.

**ჩ. კაპანაძე.**

# ქუთაისის „ქართ. დრამის“ სეზონი

**1915—1916 წ.**

**1 ოქტომბრიდან 22 თებერვლამდე.**

დასში იყვნენ ქალები: ანდრონიკაშვილი ელო, ბეჟანიშვილი სუზანნა, კავთელი ანნა, მდივანი მარო, მესხი ეფემია, ღოღობერიძე ოლიმპიადა, შოთაძე ანნა (ორი თვის შემდეგ გავიდა დასიდან). ვაჟები: ბარველი ვანო, გვარაძე ნიკო, გუგუშვილი ალექსანდრე, დადიანი შალვა, ზარდალიშვილი იუზა (ორი თვის შემდეგ გავიდა დასიდან), კორიშელი პლატონ, მურუსიძე ანდრო, სარელი ლადო, ყალაბეგიშვილი სანდრო, ჩაგუნავა ნიკო, ჩხიკვაძე ვარლამ, ხონელი შალვა.

ამათ გარდა დრო-გამოშვებით წარმოდგენებში მონაწილეობა მიიღეს ქბ. ნინო ჩხეიძემ, ელ. ჩერქეზიშვილმა; ბბ. ვ. გუნიამ, გ. იმხნელმა და დავ. ჩარკვიანმა.

აგრეთვე სეზონის განმავლობაში თანამშრომლობდნენ შემდეგი პირები: ქალები—გორდელი ქს., ეპიტაშვილი ს., თოიძე ნინო, ლორთქიფანიძე ნინო, მეუნარგიას პატარა ქალი ნინო და ჩხეიძე ანნა. ვაჟები—აბაკელია, კანდელაკი ნოე, ლორთქიფანიძე გრ., სლავსკი ვლად., ტყეშელაშვილი ვლად., ჩარკვიანი გრ., ჭელიძე სერგო, ჯაფარიძე შალვა, ჯულელი და სხვ.

ამასთანავე საჭიროების დროს მონაწილეობას ღებულობდა წარმოდგენებში ადგილობრივი ქართული ხორის მგალობლები.

რეჟისორი იყო შალვა დადიანი, რეჟ. თანაშემწე—ალ. გუგუშვილი, მოკარნახე—ილარიონ ქლენტი.

წარმოდგენები იმართებოდა უფრო შაბათ-კვირაობით და ხუთშაბათობით. შაბათობით იმართებოდა იაფ-ფასიანი წარმოდგენები, დანარჩენ დღეებში ჩვეულებრივის ფასებით და ზოგჯერაც საბენეფისოთი. ამ გვარად 1-ლ ოქტომბრიდან 1915 წლისა 22 თებერვლამდე 1916 წლისა სულ გაიმართა ქუთაისში 58 წარმოდგენა. ბათომში—5, ფოთში—4, სულ 67 წარმოდგენა. მათ შორის ქუთაისში იყო ჩვეულებრივი 23, იაფ-ფასიანი 17, საბენეფისო ფასებში 18. ბათომში—მომატებულ ფასებში 4, იაფ-ფასიანი 1. ფოთში—ჩვეულებრივი 4.

ბენეფისები ჰქონდათ ანდრონიკაშვილს ელოს, დაიდგა „ბურუსი“ ჰანტურიშვილისა და „ქორწილი სოფლად“ მჭედლიშვილისა; მარო მდივანს („იუდას მემკვიდრე“ სობოლშჩიკოვ-სამარინისა); მესხს ეფემიას („მედეა“ სუვორინისა); გვარაძე ნიკოს („მოლიპულ გზაზე“ გარრიკისა); დადიანს შალვას („გადაჭრილი მუხა“ შალიკაშვილისა); კორიშელ პლატონს („სიყვარული და ვერაგობა“ შილლერისა); მურუსიძე ანდროს („მურად-ფაშა“ ბ—ლისა); ყალაბეგიშვილს სანდროს („უგვირგვინო მეფენი“ შანშიაშვილისა); ამათ გარდა ერთი საერთო ბენეფისი ჰქონდათ დანარჩენ მსახიობთ, გარდა კავთელისა, გუგუშვილისა და სარელისა, რომელმაც ბენებისზედ უარი განაცხადეს. დაიდგა „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“.

სეზონის განმავლობაში აგრეთვე გამართული იყო ერთი საიუბილეო წარმოდგენა ელ. ჩერქეზიშვილის პატივსაცემად და ერთიც ავადმყოფ ამხანაგის ვალ. შალიკაშვილის სასარგებლოთ.

რეპერტუარი შესდგებოდა შემდეგ ნაწარმოებთაგან:

ახალი პიესები:

ბარველის „გამარჯვებული“, წარმოდგენილ იქმნა 1-ჯერ, ბერნშტეინის „ურიის სისხლი“ 1-ჯერ, გარრიკის „მოლიპულ გზაზე“ 3-ჯერ, გეიერის „მზის საიდუმლო“ 1-ჯერ, დადიანის „ბედის ტრიალი“ 2-ჯერ, ირეთელის „ბედნიერი დღე“ 1-ჯერ, მჭედლიშვილის „ქორწილი სოფლად“ 2-ჯერ, რამიშვილის „სალომეს ოჯახი“ 1-ჯერ, რიშკოვის „სახელმწიფო სადგომი“ 1-ჯერ, საქარი-ქედელის „მოსე-მწერალი“ 1-ჯერ, შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“ 3-ჯერ, შარვაშიძის „გიორგი მე-3-მე“ 2-ჯერ, ჰანტურიშვილის „ბურუსი“ 1-ჯერ.

ძველთაგან:

აკაკის „პატარა კახი“ ერთჯერ, ანდრეევის „გაუდეამუს“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ 1-ჯერ, ბიერნსონის „გაკოტრება“ 1-ჯერ, ბ—ლის „მურად-ფაშა“ 1-ჯერ, გედევანიშვილის „სინათლე“ 3-ჯერ, გუნიას „ხოლვეროზა“, „და-ძმა“, „ციხის საიდუმლო“, „რაც არ მერგება, არ შემერგება“, „დედის ერთა“ 1-ჯერ, დადიანის „ბატონი და ყმა“, „კაცია-ადამიანი?“, „შენი ჭირიმე“ 1-ჯერ, დენიერის „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“ 1-ჯერ, ერისთავის „სამშობლო“ 2-ჯერ, ირეთელის „ქრისტინე“ 1-ჯერ, მეტერლინკის „და-ბეატრისა“ 1-ჯერ, მესხის „სამშობლოს სადიდებლათ“, „რუსთველი“ 1-ჯერ, მეიერ-ფორსტერის „მემკვიდრე პრინცი“ 1-ჯერ, მონტის „კაიუს გრაქხუს“ 1-ჯერ, სარდუს „მადამ სან-ჟენ“ 2-ჯერ, სობოლშჩიკოვ-სამარინის „ვიდრე ხვალ, უფალო“?, „იუდას მემკვიდრე“ 1-ჯერ, სუმბათაშვილის „ღალატი“ 3-ჯერ, სუვორინის „მედეა“ 1-ჯერ, უმიკაშვილის „სამზადისი“ 1-ჯერ, ყაზიბეგის „ქეთევან წამებული“ 1-ჯერ, ყიფიანის „ლევან, სამეგრელოს მთავარი“ 1-ჯერ, შალიკაშვილის „უწიადაგონი, „გადაჭრილი მუხა“ 1-ჯერ, შენტანის „ჯამბაზები“ 1-ჯერ, შექსპირის „მეფე ლირი“ 1-ჯერ, შილლერის „ყაჩაღები“, „სიყვარული და ვერაგობა“ 1-ჯერ, ცაგარლის „ციმბირელი“, „რაც გინახავს ვეღარ ნახავ 1-ჯერ, ჰაუპტმანის „დაძირული ზარი“ 1-ჯერ.

ზემო-ჩამოთვლილ პიესებში—ძველსა და ახალში—ორიგინალური იყო 17, ნათარგმნი 19, გადმოკეთებული 16. მათ შორის ისტორიული—16, სოციალური—9, სახასიათო (ჟანრისა)—18, კლასიკური—3, ფსიხოლოგიური განცდისა—6.

**ბათუმში** წარმოდგენილი იყო „ღალატი“, „სამშობლო“, „ჰამლეტი“, „უგვირგვინო მეფენი“, „ვიდრე ხვალ, უფალო?“

**ფოთში** „მადამ სან-ჟენ“, „სამშობლო“, „დღენი სვენი ცხოვრებისა“, „ღალატი“.

შემოსავალ-გასავალი. სულ სეზონის განმავლობაში შემოვიდა: ქუთაისში—12348 მ. 73 კ. ბათუმში—1965 მან. 05 კ. ფოთშა—1201 მ. 65 კ. ქუთ. დრ. საზოგ. გამგეობის მიერ გაწეული დახმარება—600 მ., კერძო სესხი—100 მან. სეზონის განმავლობაში შეძენილ ტანისამოსებისა და მორთულობის გაყიდვისაგან—177 მან. სულ 16.402 მ. 43 კაპ.

დაიხარჯა: თეატრის ქირა, სტამბა, აფიშების გასაკრავი, გაზეთების განცხადებანი, ხელსაწყო, პარიკმახერი, სამკითხველოს შენახვა, ტანისამოსის ქირა, როლებისა და პიესების გადაწერა, საკანცელიარიო, გასტროლიორები, მსახიობთა გამოსვლის ქირა, სესხის დაბრუნება. ყველა ამაზე **ქუთაისში**—5089 მ. 28 კ. ბენეფიციანტებსა და იუბილიარზე—1042 მან. 90 კაპ. **ბათუმში**—1290 მ. 18 კაპ **ფოთში**—1048 მ.—სულ 8470 მ. 36 კ. ამხ.-ს დარჩა მარკებზე გასაყოფად——7932 მ. 07 კ. სულ 16.402 მ. 43 კ.

ამ გვარად ერთი მეორეზე თვეში საამხანაგო მარკას მოუვიდა 8 მ. და 54 კაპ.

დასის წარმომადგენელი

**შალვა დადიანი.**

# ნარევი

**მეოცენი**

დედამიწიდან ყველაზე მახლობელი მნათობი მთვარეა. იგი ხანდახმით ჰფარავს ხოლმე სხვა ვარსკლავებს. ამ რამდენიმე დღის წინად (25 თებერვალს) დაჰფარა ვარსკლავთა ჯგუფი. ეს ჯგუფი ამოვა ხოლმე განთიადის წინ და განსაკუთრებით ცხადად სჩანს თიბათვეში. უბრალო თვალი ამ ჯგუფში შვიდს ვარსკვლავს არჩევს, შორს მჭვრეტელი თორმეტს. 150 წლის წინად გალეამ აღმოაჩინა, რომ იმ ჯგუფში 36 ვარსკვლავიაო. 150 წლის შემდეგ მეტჩილმა აღმოაჩინა 1000 ვარსკვლავი, რომელიც თვითეული მათგანი ჩვენს დედამიწაზე 5—10-ჯერ უდიდესია. კიდევ 100 წლის შემდეგ ძმებმა ანრებმა იმ ჯგუფში აღმოაჩინეს 2,326 ვარსკვლავი. ამის გარდა ამ ჯგუფში აღმოაჩინეს, რომ ვარსკვლავთა შორის რაღაც ბურუსის მაგვარი ნივთიერება არისო.

ვარსკვლავთა-მრიცხველნი ამბობენ: ჩვენც შორეული მოწმენი ვართ იმისა, რომ იქ ვარსკვლავთა სისტემა იქმნებაო.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისიდან გადის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | 8.53 | სა. |
| „ | საფ. „ | 3 | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | 10.20 | სა. |
| „ | ჩქარი „ | 6 | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | № | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | 9.30 | სა. |
| „ | სამგ. „ | 10 | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | 7.41 | სა. |
| „ | სამგ. „ | 7 | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | 8.8 | დილ. |

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 15 | დღის | |
| მელაანიდან | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თელავიდან**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან | 9 ს. 16 წ. | დილ. | |
| კარდანახიდან | 9 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 | „ | „ |

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).
ი. დ. კიკნაძისა.
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამაევის შესახვევი № 4.